სპორტი

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2008 №025 (3249) ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲚᲐᲢᲕᲘᲐ ᲰᲒᲠᲝᲜᲘᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერიმენტი დღეს არ იქნება

ტოპმიოლერს ამხანაგობას თხოვენ და კალენდარს ულოცავენ

ლატვიასთან მატჩის წინა დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა პრესკონფერენციაზე მიგვინვია. ოღონდ, ეს ჩვეულებრივი, ერთი კონკრეტული მატჩისწინა პრესკონფერენცია არ ყოფილა — გერმანელმა მწვრთნელმა წინა შესარჩევი ციკლით დაიწყო და მომდევნო ციკლსაც გადასწვდა



ბუბა ფოლადაშვილის ფოტო

— სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრისა და ბულგარეთში ჩვენი ჯგუფის კალენდარზე შეთანხმების შემდეგ, ახლა უკვე შესარჩევი მატჩებისთვის ვიწყებთ აქცენტირებულ მზადებას. ჩვენ ამხანაგური მატჩების გრაფიკი შევსებული გვაქვს და გეტყვით, რომ პორტუგალიასთან 31 მაისის მატჩისთვის გვსურს ნაკრების იმ ბირთვის ჩამოყალიბება, რომლის იმედიც მომავალ შესარჩევში უნდა გვქონდეს. წინა შესარჩევში ჯგუფიდან გასვლის თითქმის ყველა შანსი საქართველომ შოტლანდიაში 1:2 წაგების შემდეგ დაკარგა, თუმცა შემდეგ ის მოთამაშეები ვნახეთ, რომლებიც ან უკვე არიან, ან მომავალში იქნებიან ეროვნული გუნდის ფეხბურთელები. მაგალითად, ჯაბა კანკავა, რომელიც უკვე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, ლევან ყენია, ვინც პირველივე მატჩი ნაკრებში ისე ითამაშა, უცხო იფიქრებდა, ათი წლის გამოცდილება აქვსო, ლევან მჭედლიძე, რომელიც, იმედი მაქვს, მომავალი სეზონიდან იტალიის სერია A-ში თამაშის პრაქტიკას მიიღებს. აშკარად გავაუმჯობესეთ მეკარის პოზიცია... ლატვიასთან მატჩში საქართველოს შემადგენლობას ახლა ბოლომდე ვერ დავასახელებ, მაგრამ გეტყვით, რომ ძირითადში იქნებიან მეკარე ნუკრი რევიშვილი, მცველი ზაალ ელიავა, ვინც მხრის ორი ოპერაციის გამო რამდენიმე თქვე უქმად იყო და გოგიტა გოგუა, რომელსაც მოსაფიქრებელი დრო მივეცით. რაც შეეხება მეკარე გიორგი მაკარიძეს, ის რამდენიმე კვირის უვარჯიშებელია და სჯობს ლატვიასთან რევიშვილმა ითამაშოს. მოკლედ, ნაკრების კანდიდატებმა უკვე კარგად იციან, რომ დიდი კონკურენციაა და ბევრი უნდა იშრომონ ეროვნულ გუნდში მოსახვედრად. როგორც ვთქვი, მომავალი შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას ლატვიით ვიწყებთ და ნაკრების ბირთვი პორტუგალიასთან თამაშისთვის შერჩეული იქნება. იქამდე კი რამდენიმე ამხანაგური მატჩი გვაქვს, თავის გამოჩენის საშუალება ბევრს მიეცემა.

— ლატვია კარგი გუნდია. წინა შესარჩევის ბოლო შეხვედრა ამ ნაკრებს შვედეთში ჰქონდა. მასპინძლებს მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ და ეს გაჭირვებით შეძლეს — შვედეთმა 2:1 მოიგო. ლატვიელები დაცვაში კომპაქტურად თამაშობენ და ამის გარდა სხვაც ვიცით მათ პლუს-მინუსებზე. ჩვენ კი გვსურს, სეზონი წარმატებით დავიწყოთ და იმედი მაქვს, ამას მოვახერხებთ.

— ლატვიასთან მატჩის წინ საუკეთესო ფეხბურთელთა დანაკლისი მაქვს. მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ამხანაგური თამაშისთვის რამდენიმე ფეხბურთელის გამოცდა ძალიან მაინტერესებს.

— შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ და ახლა კმაყოფილი ვარ. სოფიის აეროპორტში ბულგარეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხრისტო სტოიჩკოვი შეგვხვდა და მან გვითხრა, საქართველოს ძალიან კარგი კალენდარი აქვს, ჩინებულია, რომ შესარჩევს შინ სამი თამაშით იწყებთო. ჩვენი სურვილი იყო, იტალიასთან ერთი მატჩი შესარჩევის დაწყებიდან მალევე გვეთამაშა. როცა იტალიას შეეხვდებით, იმ დროისთვის იტალიის ჩემპიონატი ან იქნება დაწყებული, ან არა. იმედი მაქვს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იტალია ფორმას ბოლომდე ვერ აღიდგენს და კიდევ, ჩინეთის ოლიმპიადაზეც იტალია ეროვნული გუნდის რამდენიმე კანდიდატს გაუშვებს. ეს ყველაფერი ჩვენთვის გარკვეულ უპირატესობად მიმაჩნია.

— ლატვიასთან მატჩისთვის ბევრი ფეხბურთელი პირდაპირ მოსამზადებელი შეკრებიდან ჩამოვიდა. მცირე ტრავმა აწუხებთ დავით კვირკველიას, კახა კალაძესა და მალხაზ ასათიანს. კვირკველია ითამაშებს თუ ვერა, თამაშის დილას გაირკვევა, კალაძეს აქილევსი აწუხებს და ვინაიდან ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვვარჯიშობთ, ის და ასათიანი ცალკე იყვნენ.

— მაისის ბოლოს ავსტრია-შვეიცარიაში შეკრების ნაცვლად, ვიქნებით ესტონეთსა და პორტუგალიაში, ორივე გუნდთან კი ამხანაგურად ვითამაშებთ. სხვათა შორის, ამას წინათ ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგთსი დამიკავშირდა და ავსტრიაში ან შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატამდე ამხანაგური მატჩი შემომთავაზა. ჩვენ კი უკვე ყველაფერი დაგეგმილი გვაქვს.

— ბულგარეთის ნაკრებს ევროპული დონის ბევრი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ წინა შესარჩევში ვერაფერს გახდა. ხოლო ჩვენ, თამაში თუ წაგვიყიდა, უკვე დავამატკიცეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის დაძლევა შეგვიძლია. ეს შესარჩევი ციკლი ჩვენთვის შეფასებითი ფიფა ვიდრე წინა და, თუ ტრავმები ან ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციები ხელს არ შეგვშლის, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი შედეგი გვექნება.

— ლატვიასთან რაიმე ექსპერიმენტებს არ ვგეგმავ. ყველა ფეხბურთელი თავისთვის ჩვეულ პოზიციაზე ითამაშებს. ექვსი შეცვლის უფლება გვექნება. ვნახოთ როგორი თამაში გამოვა.

— ჩემსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, ეს დღეების ამბავია, რამდენიმე წვრილმანია შესათანხმებელი.

— ლევან კობიაშვილი ლუქსემბურგთან ამხანაგური მატჩისას მძიმედ დაშავდა და თითქმის ექვსი თვე გაუცდა. მან სრულფასოვანი მზადება ახლა დაიწყო და მართალია, ბუნდესლიგის მეორე წრის პირველ ტურში „შტუტგარტთან“ მოსალოდნელზე ბევრად უკეთ ითამაშა, ლატვიასთან მატჩისთვის მან გათავისუფლება მითხოვა. საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ის მარტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეხვედრისთვის აუცილებლად ჩვენთან ერთად იქნება. ამ ეტაპზე კი სჯობს კლუბში დარჩეს.

— ზურაბ ხიზანიშვილმა ყატართან ამხანაგური მატჩისას ძალიან ცუდად ითამაშა და მოსაფიქრებლად მასაც დრო მივეცით.

— ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა საკითხი მალე გაირკვევა. ინტენსიურად ვმუშაობთ.

— თბილისში ძალიან ცივა, ცუდი ამინდებია, მაგრამ მსურს, ქომაგებს ვთხოვო, რომ ეროვნულ სტადიონზე მივიდნენ. ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენი ქომაგი, თან ნუ დაივიწყებთ, სექტემბრამდე საქართველოს ნაკრებს შინ თამაში აღარ ექნება.

კობა ინასარიძე

უფროსი ასაკის საქართველო — ლატვია

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის მოედანზე საინტერესო მატჩი გაიმართა — ქართველი ვეტერანები ლატვიელ ვეტერანთა წინააღმდეგ.

ოთარ გაბელიას, თენგიზ სულაქველიძის, გორა ჯამარაულის, მანუჩარ მაჩაიძის, გიორგი ჩიხრაძის, ვახტანგ ქორიძის, ოთარ კორღალიძის, ვახტანგ კოპალეიშვილის, დავით მუჯირის და სხვა ქართველი ვეტერანების თამაშის ყურებისას ნოსტალგიური განწყობა, აბა, როგორ არ დაეუფლებოდა კაცს და ასეც იყო...

შეხვედრა ამხანაგურად, 3:3 დასრულდა და ეჭვი გვაქვს, საქმე „მესამე ტაიმამდეც“ მივიდოდა...

კახა შალამბერიძე

ალეკო ფეიჩოსიძეს ფოტო

ინგლისი

I ლიგა. გადადებული მატჩი
როვერსი 2:0 ჩელტენჰემი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩები
ბერი 2:3 სტოკპორტი
მაკლსფილდი 1:2 ლინკოლნი
როჩდეილი — ბარნეტი გადაიდო

შოტლანდია

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი
მოზერუელი — დანდი გადაიდო
ლიგის თასი. 1/2 ფინალი
აბერდინი 1:4 დანდი იუნ.

ამხანაგური მატჩები

საბერძნეთი 1:0 ჩეხეთი
შვედეთი (U21) 1:0 უკრაინა (U21)
გერმანია (U21) 2:1 ბელგია (U21)
პორტუგალია (U21) 2:1 შოტლანდია (U21)
ნორვეგია (U21) 2:3 ავსტრია (U21)
იტალია (U21) 2:1 ჰოლანდია (U21)
ორჰუსი 1:2 მიდტიულანდი
სტიაუა 2:0 ტეპლიცე
ლოკომოტივი (მ) 1:0 კერნტენი
კლუჟი 2:2 ლიბერეცი
ლევსკი 1:0 ბუდეიოვიცე

ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

III ჯგუფი. VI ტური
ინგლისი 3:0 ირლანდია

X ჯგუფი. VI ტური
მალტა 0:4 უელსი

ნეტავ, რომელ ქვეყანაში ჩავიდნენ ლატვიელები?

პირველად იყო მინდორი: რიგაში ნავსი გატყდა

გუშინ საღამოს ჩვენი ძველი მეგობარი და კოლეგა, ლატვიური გაზეთის „სპორტა ავიზეს“ ჟურნალისტი აშვოლდს ულდრიკისი შეგვეხმიანა — წესად გვაქვს, ერთმანეთს ინფორმაციებს ვუცვლით ხოლმე.

დავვირეკა და, ბუნებრივია, დღევანდელი მატჩისწინა ამბები გამოგვკითხა. საუბრისას კი რამდენიმე ისეთი ფაქტიც გვითხრა, საინტერესო რომ უნდა იყოს...

მართლა ასე ცივა თბილისშიო?

რომ დავუდასტურეთ, გვითხრა, ლატვიური დელეგაციის წევრები რიგაში რომ რეკავენ, იმას ამბობენ, გვეგონა, საქართველოში მოვდიოდით და ლატვიაში ამოვყავით თავიო, საქართველო კი ჩვენს სამშობლოში დავტოვეთო.

საქმე კი ის ყოფილა, რომ ლატვიის ნაკრებს აქამდე არასდროს ღირსებია თებერვალში მინდორზე ვარჯიში, ახლა კი, თბილისში გამომგზავრებამდე ერთი დღით ადრე რიგაში ისე ჩამოთბა, რომ ნაკრებმა დარბაზიდან მოედანზე გადაინაცვლა. თბილისში ჩამოსულებს კი „მიხეილ მესხის“ მინდორი ისეთი მოყინული დახვდათ, უბრალო კვადრატიც ვერ გაითამაშეს და, როგორც გუშინაც გვეწერა, ხელბურთი გააჩაღეს.

ჰოდა, ზემოთ საქართველოსა და ლატვიის არეებზე ბალტიისპირელთა ნათქვამი რომ მოგახსენეთ, ამის გამო ნახუმრები იყო.

კობა ინასარიძე

ამხანაგური მატჩი

კვირკველიამ დონეცკი გადაწყვიტა

საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელი **დავით კვირკველია** გუნდს იცვლის. გადაწყვეტილია: კვირკველია ზაპოროჟიედან დონეცკის „მეტალურგში“ გადავა...

— ყველა საბუთი მოგვარებულია, ჩემი ჩასვლა და ხელმოწერა აკლია. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, რამდენწლიანი იქნება კონტრაქტი.

— ცხრილში ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ უფრო ყოჩაღობს...

— ვფიქრობ, დონეცკელებს უფრო კარგი გუნდი ეყოლებათ. ფინანსურადაც გაცილებით ძლიერია და თან ახალი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც მანამდე ზაპოროჟიეში იყო.

— ნაკრების თამაშის შემდეგ პირდაპირ დონეცკელებს უნდა შეუერთდე თუ ზაპოროჟიეში ჩახვალ?

— ვერ გეტყვით... ზარს ველი.

მიხეილ ჟორჟოლიანი

პროტასოვს საქართველო გაუხარდა

რამდენიმე დღის წინ 20 წლის ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე** დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ გადავიდა. კლაუს ტოპმიოლერმა კი კობახიძე ნაკრებში გამოიძახა და იგი ეროვნულ გუნდს გუშინ შეუერთდა...

— „დნიპრო“ საკმაოდ ნორმალური გუნდია და მიხარია, რომ მოხერხდა ჩემი იქ ჩარიცხვა.

— თითქოს ტრანსფერი ჩაშლილი იყო, თბილისშიც დაბრუნდი...

— პრობლემები შეიქმნა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა.

— გუნდში საკმაო კონკურენცია იქნება და ბევრი ოფლის ღვრა მოგიწევს ძირითადში მოსახვედრად...

— კონკურენცია, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ არ შეშინია. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. უნდა ვიშრომო და არ დამეკარგება.

— მთავარი მწვრთნელი ოლეგ პროტასოვი თუ გესაუბრა?

— კარგი პიროვნებაა, მითითებებსაც მაძლევს. ნაკრებში რომ გამომიძახეს, ძალიან ესიამოვნა.

— ლატვიასთან მატჩზე რას იტყვი?

— უნდა მოვიგოთ!

ნუკრი ლოლაძე



გადრი კეთილაძის ფოტო

ლევან ცაბაძე და კლაუს ტოპმიოლერი

მორაგბეთა წყალი გადაგსხმოდეთ!

თბილისი. 6 თებერვალი. 18 საათი. ეროვნული

საქართველო — ლატვია

მსაჯები: ს. შმოლიკი, დ. სემიონოვი, ა. კოლბი (სამივე ბელარუსი), მ. ურუშაძე (საქართველო)

გუშინ საქართველს ეროვნულმა ნაკრებმა „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ივარჯიშა.

იშვიათი შემთხვევაა, როცა საქართველოს ფეხბურთის და რაგბის ნაკრებები ერთმანეთს მოედანზე ხვდებიან — გუშინდელი დღე კი ასეთი იყო. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა და მისმა თანაშემწემ ლევან ცაბაძემ ფეხბურთელთა გამოჩენის შემდეგ დაასრულეს ვარჯიში.

გუშინ ტოპმიოლერის გუნდს შეუერთდნენ კახა კალაძე და სანდრო კობახიძე.

ტოპმიოლერმა გუნდი კარგად გაახურა, შემდეგ კი მოედნის ცენტრში კვადრატი ათამაშა. ბიჭებმა ფლანგებიდან ჩაწოდებაზეც წაივარჯიშეს და კარშიც დაარტყეს. ამ ყველაფერმა საათსა და ოც წუთს გასტანა.

ინდივიდუალურად ივარჯიშეს კალაძემ, მალხაზ ასათიანმა და დავით კვირველიამ, 40 წუთის შემდეგ კი იქაურობას გაეცალნენ. როგორც ნაკრების ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა გვითხრა, კალაძე და ასათიანი ლატვიასთან აუცილებლად ითამაშებენ, ხოლო კვირკველიას კუნთი აქვს დაჭიმული და მისი საკითხი მატჩის წინ გადაწყდება.

ვარჯიშის შემდეგ კახა კალაძემ მცირე კომენტარი გააკეთა: „ლატვიასთან აუცილებლად ვითამაშებ. ვფიქრობ, საინტერესო თამაში იქნება. ჩვენს ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია და ეს მათთვის კარგი შანსია თავის გამოსაჩენად“.

მაშ ასე, დღეს საქართველოს ნაკრები ლატვიას შეხვდება. მატჩი „ეროვნულზე“ 18 საათზე დაიწყება.

ნუკრი ლოლაძე

ლევან მჭედლიძე: ჯერ ლატვია, მერე ლაციო

ვარჯიშების მიხედვით თუ ვიტყვით, **ლევან მჭედლიძე** დღეს ლატვიასთან ძირითადში ითამაშებს. ტანმაღალ ფორვარდს ეტყობა, რომ ჯანზეა და კარგ ფორმაშია. ლევანის საკლუბო კარიერაც წაღმა ნავიდა, ტრავმამოშუშებულმა „ემპოლის“ ამხანაგურ მატჩში ითამაშა და ორი გოლიც შეაგდო. რაც შეეხება სადღეისო მატჩს:

— ლატვიელებზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ის გუნდი არ უნდა იყოს, საქართველომ ვერ მოუგოს. იმედია, გავიმარჯვებთ.

— „ემპოლიში“ 11:0 მოგებულ მატჩში ორი გოლი გაიტანე, მაგრამ მხოლოდ ამხანაგურში...

— ეს თამაში სუსტ გუნდთან გვქონდა, მწვრთნელმა მეორე ტაიმში შემიშვა და კარგი ვოლები შევაგდე. ამხანაგურებში „ემპოლიში“ სულ ასეა — თითო ტაიმს ყველა თამაშობს.

— სერია A-ში შენს დებიუტს როდის უნდა ველოდოთ?

— ახლა „ლაციოსთან“ გვაქვს შინ თამაში და იმედი მაქვს, ალბერტო მალესანი დამაყენებს. წინასწარ არ უთქვამს, მაგრამ ვფიქრობ, მათამაშებს.

— გავიგეთ, „ვოლფსბურგი“ ცდილობს მჭედლიძის გადაბირებას, მაგრამ სატრანსფერო ფასს ვერ შესწვდაო. იქნებ, უფრო დეტალურად გვითხრა...

— დაინტერესება იყო, „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელობა ჩამოსული იყო იტალიაში, მოლაპარაკება ჰქონდათ. მეც მესაუბრნენ. არც „ემპოლის“ სურს ჩემი გაშვება და ამ ეტაპზე არც მე მინდოდა გუნდის შეცვლა.

— ემ ეტაპზეო და, შეიძლება, ზაფხულში წახვიდე?

— ჯერ არ ვიცი. ზაფხულში ვნახავთ...

ილია ანანოგაფშვილი

გადრი კეთილაძის ფოტო

სირაძეს გერმანიაში ჩერნოგორია ემუქრება

ახალი წლიდან **დავით სირაძე** ეტაპობრივად შეუდგა ვარჯიშებს და გერმანულ „პადერბორნშიც“ ითამაშა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაში. ახლა დათო თბილისშია, დღევანდელი მატჩისთვის ემზადება და ლატვიელების დამარცხების ეიმედება...

— სრული დატვირთვით ვარჯიშობ?

— დიახ, უკვე რამდენიმე დღეა, ტრავმის კვალი აღარ ჩანს.

— „პადერბონის“ ბოლო მატჩის 18-კაციან განაცხადში კი მაინც არ ყოფილხარ...

— შეკრებები ნაყოფიერად არ გამივლია. მე და მწვრთნელმა ვისაუბრეთ ამ საკითხზე — ორივემ ჩავთვალეთ, რომ სათამაშოდ მზად არ ვიყავი.

— ლატვიელებთან ითამაშებ?

— აუცილებლად.

— რას ფიქრობ, როგორი მატჩი იქნება?

— წლეულს პირველი შეხვედრაა და უნდა მოვიგოთ. კარგად დაწყებული საქმე მთელი წელი გაგვყვება. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გულშემატკივარი გავახაროთ.

— ახალი შესარჩევი ეტაპი სექტემბერში იწყება. ჯგუფიდან გასვლის შანსი როგორია?

— იტალია აშკარა ფავორიტია, დანარჩენი მეტოქეებიდან უფრო ბულგარეთს გამოვარჩევ, თუმც თამაში ყველასთან შეიძლება. ამის კარგი მაგალითი შოტლანდიასთან მოგებაა. ერთია, ჯგუფში სუსტი მეტოქე არ არსებობს. ის კი არა, ჩემი ჩერნოგორიელი თანაგუნდელი დრაგან ბოგავაჩი, რომელთანაც ვმმაკაცობ, უკვე მემუქრება.



გადრი კეთილაძის ფოტო

— იმედია, პასუხიც გაეცი...

— რა თქმა უნდა, ეგ ვნახოთ-მეთქი. ორივე მატჩს მოვუგებთ და როგორ განწყობაზე დადგება, ვნახავ.

— ისევ „პადერბორნზე“ გკითხავ: გუნდი ბოლო ადგილზეა...

— ცოტა გასაკვირიც არის, თითქოს კარგი ფეხბურთელები შეიკრიბა, მაგრამ... ახლაც დაიმატეს რამდენიმე, თუმც პირველივე მატჩი მაინც წააგეს.

— და თუ გავარდა?

— ავტომატურად მივდივარ გუნდიდან — ეს ჰუნქტი კონტრაქტშია შეტანილი.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბურჯ ფილიგანის ფოტო

პაატა ბურჯალიანი და დიმიტრი რამიშვილი

თანხის განაწილების სავარაუდო პრინციპი

I ადგილი	40 000 ლარი
II ადგილი	30 000 ლარი
III ადგილი	25 000 ლარი
IV ადგილი	22 000 ლარი
V ადგილი	20 000 ლარი
VI ადგილი	18 000 ლარი
VII ადგილი	16 000 ლარი
VIII ადგილი	12 000 ლარი
IX ადგილი	10 000 ლარი
X ადგილი	7 000 ლარი
სულ:	200 000 ლარი

პროფლიგამ ფული და პასუხისმგებლობა გადაანაწილა

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის წევრები წლეულს პირველად შეიკრიბნენ და ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების განახლებამდე რამდენიმე საინტერესო საკითხი მოაგვარეს. გამგეობამ დაამტკიცა მეორე წრის კალენდარი, პირველი ლიგიდან მოკვეთა რაჭის „ფაზისი", გაამკაცრა სანქციები მატჩების ჩამშლელი გუნდებისთვის და გაანაწილა ის თანხა, რაც პროფლიგამ მედია-კომპანია „კოლხიდასთვის" ტელე-უფლებების მიყიდვით მიიღო. სწორედ ამ საქმეებთან დაკავშირებით გამგეობის სხდომის დამთავრებისთანავე პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა და გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა პრესკონფერენცია გამართეს და უკვე თქმული გადაწყვეტილებების თაობაზე დეტალურად ისაუბრეს...

დიმიტრი რამიშვილი:

— დღეს მართლაც მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. მსურს, სიამაყით განვაცხადო, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოხდა, როცა ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი იმ მედია-კომპანიასთან შეთანხმებით შედგა, რომელსაც მატჩების ტელეჩვენების უფლებები გადავეცით. კალენდრის შედგენისას, ცხადია, კლუბებისა და „კოლხიდას" ინტერესები ბოლომდე გავითვალისწინეთ და საბოლოოდ, ორმხრივ მისაღები ვარიანტი დავამტკიცეთ.

— საქართველოში საფეხბურთო სეზონი 17-18 თებერვალს თასის გათამაშებით განახლდება, ჩემპიონატი კი 23-24 თებერვალს დაიწყება. სეზონი, ტრადიციულად, 26 მაისს, თასის ფინალით დასრულდება, იქამდე კი, 18 მაისს, ჩემპიონატის ბოლო ტური გაიმართება.

— გამგეობის დღევანდელ სხდომაზე გავანაწილეთ ის 200 ათასი ლარი, რომელიც მედია-კომპანია „კოლხიდასგან" მივიღეთ. ჩვენი მიზანია, ჩემპიონატში უმოტივაციო გუნდები არ იყვნენ და ეს თანხაც ასეთი პრინციპით გავანაწილეთ. მაგალითისთვის, მე-10 ადგილზე გასული გუნდი 7 ათასს მიიღებს, ხოლო მერვეადგილოსანი — 12 ათასს. დამეთანხმებით, ამ ორ ადგილს შორის, დაინტერესების თვალსაზრისით სოლიდური სხვაობაა — 5 ათასი ლარი. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ ცხრილის შუაში მყოფი გუნდებისთვის სულ ერთი აღარ იქნება, ჩემპიონატს რომელ ადგილზე ჩაამთავრებენ. თანხა 10 გუნდზე გადანაწილდება, დანარჩენი ოთხი კი, მოგეხსენებათ, უმაღლესიდან გასავარდნთა ზონაში იქნებიან.

— წლეულს ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 200 ათასი ლარი არის, გაისად ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება და სამი წლის შემდეგ უკვე მილიონი იქნება. თუმცა მომავალში საპრიზო ფონდს მილიონზე მეტსაც ვვარაუდობთ.

— მნიშვნელოვნად გაიზარდა სუპერთასის ჰონორარიც. აქამდე სპონსორი „ფოლკსვაგენი" იყო, ხოლო გამარჯვებულისთვის დაწესებული თანხა — 10 ათასი ლარი. ახლა კი „ვითიბი" ბანკთან გავაფორმეთ ხელშეკრულება და სუპერთასის მფლობელი უკვე 25 ათასს მიიღებს. დამეთანხმებით, ნელ-ნელა წინ მივდივართ, რაც აუცილებლად აისახება ქართული ფეხბურთის წარმატებებზე. ისიც სათქმელია, რომ რაც ახლა კეთდება, არ არის ერთი და ორი წლის პროექტები, ეს გაცილებით ხანგრძლივი იქნება.

— ჩემპიონატის განახლებასთან ერთად საქმეს შეუდგება მედია-კომპანია „კოლხიდაც". ამ კომპანიას ტურის მატჩების მიმოხილვისთვის, პირდაპირი რეპორტაჟებისთვის და ვიდეოანალიზისთვის საჭირო ტექნიკა უკვე აქვს, გამზადებული და მოწყობილია შესაბამისი სტუდია, შერჩეულია წამყვანები... მოკლედ, საქმის დასაწყებად ყველაფერი მზადაა. ხოლო „კოლხიდას" პროდუქტი რომელი ტელეკომპანიის ეთერით გადაიცემა, ამას „კოლხიდას" წარმომადგენლები თავად იტყვიან.

პაატა ბურჯალიანი:

— დღევანდელ სხდომაზე ეროვნული ჩემპიონატის სადისციპლინო კოდექსის 1 მუხლის 1.7 პუნქტში ცვლილებებზეც ვისაუბრეთ. შევთანხმდით, რომ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მატჩების ჩამშლელი გუნდებისთვის ჯარიმა გავზარდოთ და 20 ათასი ლარი გახდეს. აღრე ეს ჯარიმა 5 ათასს ლარს შეადგენდა. გამკაცრდა სანქციები პირველლიგელთათვისაც — მომავალში ის გუნდი, რომლის მიზეზითაც მატჩი ჩაიშლება, 10 ათასს გადაიხდის. ეს ყველაფერი, პირველ ყოვლისა, ეროვნული ჩემპიონატის იმიჯის ასამაღლებლად გავაკეთეთ.

— სამწუხაროა, მაგრამ იძულებულნი ვიყავით, პირველი ლიგის გათამაშებიდან მოგვეკვეთა რაჭის „ფაზისი". ამ გუნდს, ისევე, როგორც ტყიბულის „მეშახტეს", არც წინა ჩემპიონატში და არც ახლა, სამონაწილეო თანხა არ ჰქონდა გადახდილი. ტყიბულელებმა პრობლემა ნაწილობრივ მოაგვარეს, წინა სეზონის დავალიანება მთლიანად გაისტუმრეს და ამ ჩემპიონატის თანხის დიდი ნაწილი გადაიხადეს. ხოლო „ფაზისმა" ეს ვერ შეძლო. რაჭველებს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის არანაირი ფინანსური საშუალება არ აქვთ. ამიტომაც, გამგეობის გადაწყვეტილებით, „ფაზისი" ლიგიდან მოიკვეთა, „მეშახტე" კი ჩემპიონატს გაავრძელებს.

ძოგბა ინასარიძე

სიმურგმა ბოდიში მოიხადა

1 თებერვალს, „ამერისა" და აზერბაიჯანული „სიმურგის" ამხანაგურ მატჩში (0:2) მომხდარი უსიამოვნო ინციდენტი გეხსომებათ — „სარბიელმა" სიმურგელთა თავდამსხმელ რამინ ნასიბოვის ულირსი საქციელი დაგმო და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შესაბამის რეაგირებას მოახდენდა არბიტრ დავით ხარიტონაშვილის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო ნასიბოვის დასასჯელად.

და აი, შედეგი: გუშინ სფფ-ში „სიმურგის" პრეზიდენტ ზაურ მამედოვის წერილი მივიდა: „საფეხბურთო კლუბ „სიმურგის" ხელმძღვანელობა ნანობს „ამერთან" მატჩში მომხდარის გამო. რამინ ნასიბოვი შეკრებიდან გათავისუფლებულია, დაისჯება მსუყე თანხით და 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით. მომავალში კლუბი განიხილავს მისი გარიცხვის საკითხსაც. მატჩის არბიტრ დავით ხარიტონაშვილს კი ბოდიშს ვუხდით".

საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი ეროვნული ჯალენდარი

მეორე წრე

17-18.02.2008
თასის 1/4 ფინალი

XIV ტური

23.02.2008, შაბათი
ბათუმი – დილა
მგლები – მესხეთი
სპარტაკი – სიონი
დინამო – ოლიმპი
24.02.2008, კვირა
ამერი – ლოკომოტივი
მერანი – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი

XV ტური

01.03.2008, შაბათი
ზესტაფონი – მესხეთი
სიონი – დინამო
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ბორჯომი – სპარტაკი
02.03.2008, კვირა
ოლიმპი – ბათუმი
დილა – ამერი
მერანი – მგლები

XVI ტური

07.03.2008, პარასკევი
ბათუმი – სიონი
დინამო – ბორჯომი
სპარტაკი – მერანი
ვიტ ჯორჯია – დილა
08.03.2008, შაბათი
ამერი – ოლიმპი
მესხეთი – ლოკომოტივი
მგლები – ზესტაფონი
11-12.02.2008
თასის 1/4 ფინალი

XVII ტური

15.03.2008, შაბათი
ბორჯომი – ბათუმი
სპარტაკი – მგლები
მერანი – დინამო
16.03.2008, კვირა
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
დილა – მესხეთი
სიონი – ამერი

XVIII ტური

21.03.2008, პარასკევი
ბათუმი – მერანი
ვიტ ჯორჯია – სიონი
ამერი – ბორჯომი
ზესტაფონი – დილა
22.03.2008, შაბათი
მგლები – ლოკომოტივი
დინამო – სპარტაკი
მესხეთი – ოლიმპი

XIX ტური

29.03.2008, შაბათი
დილა – ლოკომოტივი
ოლიმპი – ზესტაფონი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
მერანი – ამერი
30.03.2008, კვირა
სპარტაკი – ბათუმი
სიონი – მესხეთი
დინამო – მგლები

XX ტური

04.04.2008, პარასკევი
ბათუმი – დინამო
ზესტაფონი – სიონი
ამერი – სპარტაკი
ლოკომოტივი – ოლიმპი
05.04.2008, შაბათი
ვიტ ჯორჯია – მერანი
მესხეთი – ბორჯომი
მგლები – დილა
08-09.04.2008
თასის 1/2 ფინალი

XXI ტური

12.04.2008, შაბათი
მერანი – მესხეთი
ბათუმი – მგლები
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
სიონი – ლოკომოტივი
13.04.2008, კვირა
დინამო – ამერი
ოლიმპი – დილა
ბორჯომი – ზესტაფონი

XXII ტური

18.04.2008, პარასკევი
დილა – სიონი
მესხეთი – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – დინამო
ზესტაფონი – მერანი
19.04.2008, შაბათი
ამერი – ბათუმი
ლოკომოტივი – ბორჯომი
მგლები – ოლიმპი

XXIII ტური

25.04.2008, პარასკევი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
სიონი – ოლიმპი
ამერი – მგლები
26.04.2008, შაბათი
ბორჯომი – დილა
დინამო – მესხეთი
მერანი – ლოკომოტივი
სპარტაკი – ზესტაფონი

XXIV ტური

02.05.2008, პარასკევი
მესხეთი – ბათუმი
ლოკომოტივი – სპარტაკი
მგლები – სიონი
დილა – მერანი
03.05.2008, შაბათი
ზესტაფონი – დინამო
ვიტ ჯორჯია – ამერი
ოლიმპი – ბორჯომი
07.05.2008, ოთხშაბათი
თასის 1/2 ფინალი

XXV ტური

11.05.2008, კვირა
ბორჯომი – სიონი
ვიტ ჯორჯია – მგლები
სპარტაკი – დილა
დინამო – ლოკომოტივი
მერანი – ოლიმპი
ბათუმი – ზესტაფონი
ამერი – მესხეთი

XXVI ტური

18.05.2008, კვირა
ოლიმპი – სპარტაკი
ზესტაფონი – ამერი
მგლები – ბორჯომი
ლოკომოტივი – ბათუმი
დილა – დინამო
სიონი – მერანი
მესხეთი – ვიტ ჯორჯია
26 მაისი, 2008
თასის ფინალი

რაშიდ რახიმოვი: დავით მუჯირს ბედის გადაწყვეტა შეუძლია

ტრანსფერი უკვე დარეგისტრირდა

რუსეთის ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ დავით მუჯირი „ლოკომოტივის“ სრულუფლებიან წევრად ცნო და კლუბთან მისი შრომითი ხელშეკრულება რეგისტრაციაში გაატარა. ასე რომ, ქართველი ფეხბურთელი „კრილია სოვეტოვიდან“ „ლოკომოტივში“ სრულიად კანონიერად გადავიდა.

რკინიგზელთა გუნდის უფროსმა ვლადიმირ კოროტკოვმა ლიგაში კონტრაქტის ორიგინალი წარადგინა, სადაც საქმის ყველა მონაწილის ხელმოწერაა.

რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, რომელიც მილიონ 100 000 დოლარს შეადგენს, „კრილია სოვეტოვს“ უახლოეს დროში გადაერიცხება.

საქმის მოკვარახჭინება ქართველმა ფეხბურთელმა საგოლე პასით „აღნიშნა“ — ესპანურ შეკრებაზე მყოფი „ლოკომოტივი“ გუშინ ავსტრიულ „კერნტენს“ გაეჯიბრა ამხანაგურად და 1:0 მოუგო. გოლი ერიკ კორჩაგინმა ჩვენებურის პასით გაიტანა.

დავით მუჯირმა მეორე ტაიმი ითამაშა...

„ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა კი ეს თქვა: „მუჯირის თამაში ჯერ კიდევ ავსტრიიდან მახსოვს, როცა იგი „შტურმში“ ირიცხებოდა. მუჯირი ტექნიკურია, აქვს კარგი დარტყმა და მოედანსაც მშვენივრად ხედავს. ერთი სიტყვით, მას მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კარლ ცაისმა უქართველოდ წააგო

ქართველებით დახუნძლულმა იენის „კარლ ცაისმა“ მორიგი მარცხი იწვნია მეორე ბუნდესლიგაში, თუმც ქართველებს წაგებას ვერავინ დააბრალებს — ილია კანდელაკს, გიორგი სეთურიძეს და გიორგი ონიანს „ალემანიასთან“ არ უთამაშიათ.

იენელებმა 2:3 წააგეს. არადა, ორჯერ იგებდნენ...

„კარლ ცაისი“ მეორე ბუნდესლიგაში ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა 13 ქულით, მაჩანჩალა კი დავით სირაძის „პადერბორნია“.

ნუკრი ლოლაძე

განუგრავას 15 ნომერი და პერსპექტივა

„ბოლესლავის“ მწვრთნელმა ზდენეკ შჩასნიმ ახალწვეული გიორგი განუგრავა შეაქო — კარგი ნახევარმცველი დავიმატეთ, მას და ტომაშ ფაბიანს (18 წლისაა) ძირითადში თამაში შეუძლიათო.

განუგრავას კლუბში 15-ნომრიანი მიასურა მისცეს. მის პოზიციაზე, მარცხენა საყრდენ ნახევარმცველზე, არცთუ დიდი კონკურენციაა და ეს ჩვენიანის შანსია.

„სეზონის პირველი წრე არასასურველ, მეათე ადგილზე დავასრულეთ, თუმც წინ წაწევის კარგი შანსი გვაქვს. გუნდში ბევრი ახალგაზრდაა, რომლებიც ძალიან ნიჭიერები არიან და მათი იმედი მაქვს“ — თქვა შჩასნიმ.

ჩეხეთის გამბრინუსლიგა, რომელშიც აქამდე არცერთ ქართველს არ უთამაშია, 9 თებერვალს განახლდება — „ბოლესლავი“ „სიგმას“ უმასპინძლებს.

ილია ნანოგაშვილი

სულიკოს ძველი და კობას ახალი

ამერი 4:1 სიონი

1:0 დავითაშვილი (41), 2:0 დეკანოსიძე (54), 3:0 შალამბერიძე (57), 3:1 ჯიქია (59), 4:1 გოცირიძე (78)

ამერი: ქვაჩახია (ლ. ნადირაშვილი 46), მესხი (ცხოვრებაშვილი 66), დავითნიძე (კაკაშვილი 46), ელბაქიძე (ჩიკვილაძე 46), დიდავა, დობროვოლსკი (ხატიაშვილი 58), დეკანოსიძე (ხუციძე 58), სილაგავა, ა. ალავიძე (შალამბერიძე 53), ტატანაშვილი (რ. გოცირიძე 46), ს. დავითაშვილი (ჩიმაკაძე 58)

სიონი: გ. იაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე (ალფაიძე 75), ფრიდოლინი (მიქელაძე 78), რაქვიაშვილი, გ. ოქროპირიძე (ზ. ჭელიძე 46), ლ. ბაჯელიძე (ზ. ავალიანი 46), კვიტაიშვილი (ქარდავა 46), სანიკიძე (უგულავა 80), შავგულიძე, შ. ჯიქია (მ. ოქროპირიძე 75)

გუშინ „ოლიმპის“ ბავშვთა აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე „ამერი“ ამხანაგურ მატჩში ბოლნისის „სიონს“ გაეჯიბრა და 4:1 დაამარცხა.

ორივე გუნდმა ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა, ეგაა, ქვემოქართლელებს ერიკ რომეო ჩასემი აკლდათ, ვინც ფეხს იტკივებს.

ცნობისთვის: „ამერი“ და „სიონი“ წლეულს მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს — პირველადაც, სოფელ რატევანში „ყვითლებმა“ იმარჯვეს (2:1).

გუშინდელმა შეხვედრამ „ამერის“ თვალსაჩინო უპირატესობით ჩაიარა. სულიკო დავითაშვილს, დიმიტრი ტატანაშვილს და გიორგი სილაგავას რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა...

41-ე წუთზე კი ოთხთვენახევრიანი პაუზის შემდეგ „აბრეზამ“ გაისროლა — საჯარიმოს გარედან ცხრიანში გაახვია ბურთი.

მეორე ტაიმში ჯერ გიორგი დეკანოსიძემ იხეირა, სამ წუთში კი კობა შალამბერიძემ გაიტანა თავისი პირველი ამერული პირველი გოლი.

„ყვითლებს“ ბოლნისელთაგან შოთა ჯიქიამ უპასუხა ერთი ბურთით, თუმცა ცოტა ხანში რევაზ გოცირიძემ სამბურთიანი თანაფარდობა აღადგინა და საბოლოოდ 4:1.

ლუკა თალაკვაძე

კობა შალამბერიძემ (№13) ნავსი გატეხა: პირველი ამერული გოლი გაიტანა

ბადრი კეთილაძის ფოტო

დინამომ დუშან უჰრინს მოგებით ვერ მიულოცა

თბილისის „დინამომ“ ანთალიაში გუშინ უკრაინულ „კარპატისთანაც“ ითამაშა — მატჩი 1:1 მორჩა. ჩვენები ძალიან კი ცდილობდნენ თავიანთი ჩეხი მწვრთნელისთვის, დუშან უჰრინისთვის 65 წლის იუბილე მოგებითაც მიელოცათ, მაგრამ...

„კარპატისთან“ ჩვენების გოლი გიორგი მერებაშვილმა გაიტანა. კომბინაცია ლევან ხმალაძემ წამოიწყო, აკირემმ გააგრძელა და მერებაშვილმა ზუსტად დაასრულა. ეს ამბავი შეხვედრის 31-ე წუთზე იყო.

„დინამოს“ გატანა კიდევ მართებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და თამაშის ბოლოსკენ საპასუხო გოლი იქით მიიღო — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი უკრაინელმა თავდამსხმელმა კარში ზუსტად დაარტყა.

ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დიღმელაშვილი, გ. მერებაშვილი, სპასოვიჩი (ქანთარია 77), ხუციშვილი, აკირემი — ეს ფეხბურთელები ითამაშა იუბილარმა „კარპატისთან“.

თამაში ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ნედ ზელიჩსა და დავით ოდიკაძეს, ხოლო გულვერდ თიმაშვილი უკვე გამოჯანმრთელდა.

თბილისელები შინ 11 თებერვალს დაბრუნდებიან, იქამდე კი უკრაინულ „ნეფტინიკსაც“ გაეჯიბრებიან.

კობა ინასარიძე

ზესტაფონმა ჟეჟუ მიუეჭა

თამაში ჩხუბმა ჩაშალა

თურქეთში მიმდინარე „ბელეკის თასის“ ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „ზესტაფონი“ კორეულ „ჟეჟუ იუნაიტედს“ შეხვდა.

70 წუთის განმავლობაში იმერელთა უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა ეს გოლად მხოლოდ ერთხელ აქციეს — 25-ე წუთზე კვასხვაძე-ფიფია-იონანიძის კომბინაციის შემდეგ უბერებელმა „იონამ“ იხეირა.

კორეელები მთელი მატჩის განმავლობაში უხეშობდნენ. თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე კი მათ მორიგ უხეშობას წაკინკლავება მოჰყვა, რაც მუშტი-კრივში გადაიზარდა და თამაში შეწყდა.

როგორც „ზესტაფონის“ პრესსამსახურმა გვაცნობა, სავარაუდოდ, ტურნირის ორგანიზატორები იმერლებს მოგებას ჩაუთვლიან, რადგან ჩხუბი კორეელთა პროვოკაციას მოჰყვა.

თუ „ზესტაფონი“ ფინალში გავა, მისი მეტოქე რუმინული „ფარული“ ან უნგრული „ჰონვედი“ იქნება.

თამაშის ჩაშლამდე „ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გ. ჭანტურია, ს. თოდუა, ვიეირა, ე. საჯაია, უ. ლობჟანიძე, დაუშვილი, კესანი (ბენაშვილი 46), ნ. კვასხვაძე, რ. ონიანი, იონანიძე, ფიფია.*

მიხეილ ჟორჟოლიანი

მენთეშაშვილმა დაინყო



საქართველოს ნაკრებისა და ლატვიური „ვენტსპილსის“ ნახევარმცველმა ზურაბ მენთეშაშვილმა ვარჯიში განაახლა — წერს კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

მენთეშაშვილი ეროვნულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული, მაგრამ სწორედ ამ ტრავმამ არ მისცა საშუალება, თბილისში ჩამოსულიყო.

ნუკრი ლოლაძე

გონჩაროვმა გაიტანა, კობაური კი მოდის...

მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა აზერბაიჯანულმა „მასალიმ“, რომლის შემადგენლობაში გასინჯვაზე სამი ქართველია — ბორის გონჩაროვი, მიხეილ კობაური და ვაჟა ლომაშვილი.

სამივემ ითამაშა ლენქორანის „ხაზარის“ მეორე გუნდთან, ვისაც „მასალიმ“ 5:0 მოიგო.

ერთი გოლი გონჩაროვმა შეაგდო, კობაური კი, სავარაუდოდ, „მასალიში“ აღარ გადავა, რადგან იქაურებს პირობებზე ვერ უთანხმდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლოკომოტივი თურქეთიდან ვირუსებით დაბრუნდა

თბილისის „ლოკომოტივმა“ თურქული შეკრება დასრულა და შინ დაბრუნდა. გიორგი კიკნაძის გუნდი 2 თებერვალს ქემერიდან ტრაპიზონში გადაფრინდა, იქიდან კი ავტობუსით გამოემგზავრა საქართველოში.

„ლოკომოტივის“ მწვრთნელ ზაზა ზამთარაძეს რომ შევეხმიანეთ, შინ იყო, სიცხე ჰქონდა. თურქეთში ვირუსი შეჰყრია და მის გარდა ფეხბურთელებიც შეუძლოდ ყოფილან — გულორდავა, გუშარაშვილი და ბუდაღაშვილი.

„ლოკომოტივის“ თავკაცი გიორგი კიკნაძე კი გუნდს დიღომში, კლუბის ბაზაზე ავარჯიშებს, ხვალ თბილისელებს ტესტ-მატჩი აქვთ დაგეგმილი — მეტოქე ცხინვალის „სპარტაკი“ იქნება.

ნუკრი ლოლაძე

MTN Africa Cup of Nations

GHANA 2008

მეოთხედფინალი

ტუნისი 2:3დ.დ.(2:2) კამერუნი

0:1 მბია (18), 0:2 ნჯიტაპი (27), 1:2 ბენ საადა (35), 2:2 შიხაუი (81), 2:3 მბია (92)

ტუნისი: ქასრაუი, ჰაგი (ბენ ფრეჟი 38), ბექრი, ფელჰი, ჟაიდი, ნაფტი (ჟომაა 71), ბენ საადა, მნარი, ტრაუი, შიხაუი, დუშ სანტუში (ხერმითი 85)

მწვრთნელი: როჟე ლემერი

კამერუნი: კამენი, ნჯიტაპი, ბიკეი, რ. სონგი, ატუბა (ჩატო 109), ემანა (ეპალე 61), მაკუნი (ბინია 65), ა. სონგი, მბია, ეტოო, იდრისუ

მწვრთნელი: ოტო პფისტერი

გაფრთხილება: ნაფტი, ატუბა, ჟაიდი

მსაჯი: კომან კულიბალი (მალი)

30 000 მაყურებელი

1/2 ფინალი: 7 თებერვალი

განა — კამერუნი

კოტ დივუარი — ეგვიპტე

სტეფან მბიამ ტუნისი დუპლეტით მოკლა

მბიას გოლები აბია

„კამერუნი ფიზიკურად საოცრად ძლიერია და სწორედ მათმა ულევმა ჯანმა დაგვამარცხა“ — თქვა ტუნისელთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა. სამუელ ეტოომ ვერ გაიბრწყინა, მაგრამ „რენის“ 21 წლის ნახევარმცველმა სტეფან მბიამ ლიდერობა იკისრა და ჯერ ძირითადში, მერე კი დამატებით დროში თითო გოლი შეაგდო. „ზამბიას ხუთი, სუდანს და ტუნისს კი სამ-სამი გოლი გავუტანეთ — ხარობდა კამერუნელთა მწვრთნელი ოტო პფისტერი — მასპინძელ განასთან ნახევარფინალურ მატჩამდე ორი დღე დავრჩა, მაგრამ არა უშავს, ბიჭები გამოძინებას და დასვენებას მოასწრებენ“. კამერუნი ზედიზედ ორჯერ (2004 და 2006) ვერ გავიდა ამ ტურნირის მეოთხედფინალში, ახლა კი ნახევარფინალს უწია და ელიტაში დაბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტესთან ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში მარცხის (2:4) შემდეგ პფისტერმა მბია ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო, მაგრამ გაბრაზებული „ლომი“ დაბრუნდა და დუბლი შეასრულა.

ეს იყო პირველი მატჩი ტურნირზე, რომელშიც დამატებითი დრო დაინიშნა და ამის მიზეზი ტუნისელი შიხაუი გახდა, რომელმაც მაშინ გაათანაბრა, როცა „მოუთვინიერებელ ლომებს“ თავი ნახევარფინალში ეგონათ.

სტეფან მბიამ ალექსანდრ სონგის პასით გახსნა ანგარიში, ჯერეში ნჯიტაპმა კი მეტოქეს გონზე მოსვლა არ აცალა და საჯარიმო დარტყმით სხვაობა ორამდე გაზარდა. კამერუნელები მიზღვავებულმა სიხარულმა ცაში აიყვანა, მაგრამ ჩაუქმა ბენ საადამ მალევე გაქვითა და გახარებული კამერუნელები ბალახზე დაუშვა. ტუნისმა მეორე ტაიმში თამაში გაუმჯობესა და დაუფასდა კიდეც — შიხაუმ მატჩი დამატებითში გადაიყვანა. აი, აქ კი, როჟე ლემერის გუნდს ნაჯაფი წყალში მბიამ ჩაუყარა და 70 წლის ოტო პფისტერის „ლომები“ ხვალ, ნახევარფინალში განას შეხვდებიან.

ვაჟა ხუციშვილი

სათადარიგოთა სკამზე საუკეთესო პრანდელია

ფლორენციის „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ იტალიაში პრესტიჟული „პაკინა დოროს“ ანუ „ოქროს სათადარიგოთა სკამის“ ჯილდო შეინარჩუნა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, 15-ქულიანი ჯარიმის მიუხედავად, ამ სპეციალისტმა „იები“ მეექვსე ადგილზე გაიყვანა და ახლაც მშვენივრად ათამაშებს გუნდს.

მეორეზე „ჯენოას“ თავკაცი ჯანპიერო გასპერინი გავიდა, რომელმაც გუნდი სერია B-დან უმაღლეს ლიგაში დააბრუნა და ალბათ დაგვეთანხმებით, რომ გენუელები ახლაც მშვენივრად გამოიყურებიან.

სერია C-დან კი საუკეთესოებად ძმები პალიარიები დაასახელეს — დინო „რავენაში“, ხოლო ჯოვანი „ფოლინიოში“ მიღწეული წარმატებებისთვის.

კოვერჩანოში გამართულ ცერემონიაზე გამარჯვებულები იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ წარადგინა.

ჩეზარე პრანდელი: „დიდი მადლობა ყველას. ამ ჯილდოს კი ჩემს კოლეგასა და მეგობარს სალვატორე გარიტანოს ვუძღვნი, ვისაც ახლა რთული დრო უდგას“.

გარიტანო „ატალანტას“, „ბოლონიასა“ და „სამპდორიას“ ყოფილი ფორვარდია, რომელმაც შემდგომში მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ცოტა ხნის წინ მას ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს.

კოკი კანდელაკი

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

— პელე თუ მარადონა?

ოცდარაღაც წელიწადი დასჭირდა იმის დამტკიცებას, რომ კითხვის ასე დასმა სისულელეა. კითხვა ასე უნდა დაისვას:

— პელე თუ ნესკაფე?

ჩუმად, მკითხველო! რომელმა თქვენგანმა ჩაილაპარაკა — აქაც ვერ ივარგა ამ გაჭირვებულმაო?! ძალიან გთხოვთ, კორექტულები ვიყოთ! აქ, არგენტინის და ბრაზილიის „ბალეშჩიკების“ დაპირისპირება კი არ გვაქვს, სერიოზულ თემას ვარჩევთ. თან, არც აქეთა მხარე ბრძანდებით ბრაზილიელი და არც იქითა — არგენტინელი. როგორც ცხონებული დათა თუთაშხია იტყოდა: ფარერებს რომ ესვრით, ის ხალხი ხარ თქვენ!

მოკლედ, თემას დავუბრუნდეთ:

პელე თუ მარადონა?

პელე თუ ნესკაფე?

ჩვენ ვამტკიცებთ: ერთი ან მეორე. არ შეიძლება, კაცი ერთდროულად ფეხბურთელიც იყოს და ყავაც, ხოლო ერთ ცნობილ რეკლამას თუ გავიხსენებთ, სადაც ასაკოვანი მამაკაცი „მე პელე ვარ, ბრაზილიური ყავა“-ო აცხადებს, ყველაფერი ნათელი ხდება...

ასეა, ამ ცხოვრებაში არჩევანს ყველა თვითონ აკეთებს.

მარადონას კი ფულის სუნი მოუვიდა და ლონდონში მგონი რომან არკადიევიჩს ჩააკითხა. ჯერ ისე, ვითომც აქ არაფერიო, გაიარ-გამოიარა, ნიადაგი მოსინჯა და ბარემ ერთი ისტორიული საქმეც ქნა: „ღმერთის ხელისთვის“ ბოდიშივით მოიხადა — მარტო ღმერთი არ იყო, მეც დავეხმარეო. რაღა უჭირს მამაზეციერს, ეს წაეხმარა, თორემ ისე ინგლისის კარში ხელით გოლი ვერ გაჰქონდა. მერედა, მსაჯს რომ დაენახა... უი, უი, მტრისას!

გაგიჟდები კაცი!

და მაინც: პელე თუ მარადონა?

პელე! რა თქმა უნდა, პელე! თან, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაგანია აფრიკის ჩემპიონატია — აბედი პელე. ხომ ხედავთ, განა რა ღღეშია, თამაშს თამაშზე იგებს: ბიჭები ბრდღვნიან ყველაფერს.

ამასობაში კი, ინგლისში, სერ ალექს ფერგიუსონი განრისხდა — „ოლდ ტრეფორდზე“ ბალახი არაფრად ვარგა, მაგის გულისთვის შეიძლება ჩემპიონობა დავკარგოთო და... დაფაცურდა მანჩესტერ-ქალაქი. კლუბმა ნახევარი მილიონი გირვანქა იშოშლა. სერ ალექსის ნათქვამიდან ორ კვირაში (ანუ ამ წუთიდან რამდენიმე ღღეში), თებერვლის თვეში ახალი მინდორი აბიბინდება და ეს ყველაფერი:

„ოლდ ტრეფორდზე“, კაცოო!

ამბობენ, ამის გამგონე რამდენიმე ქართველმა მწვრთნელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულაო, მაგრამ... არ მჯერა. შეიძლება, დარდიან გულზე ღვინოს მიეძალნენ (ეროვნულ ტრადიციებს თვალის ჩინივით უნდა გაფრთხილება), თორემ თვითმკვლელობა მეტისმეტია.

აი, ასე. სხვას კი ამჯერად ველარაფერს მოგახსენებთ, რადგან აღარაფერი მაგონდება. ასე რომ, მოდი, ერთმანეთს აქ დავეშვიდობოთ და პოლიტიკოსებმა თუ არ შეგვჭამეს, ერთი ხნის მერე ისევ შევხვდეთ ერთმანეთს.

ევროინტეგრაციისა და დიდი ხელფასის იმედით, **ჰაჰუნა კედია**



ფავორიტიზმი იტალიურად

„ლა გაძეტა დელო სპორტმა“ ერთი პატარა და საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა. წამყვანმა იტალიურმა სპორტულმა გამოცემამ სერია A-ში მსაჯების მიერ დაშვებული ყველა აშკარა შეცდომა გაითვალისწინა და ამის მიხედვით ცხრილის თავისი ვერსია შემოგვთავაზა.

ამ ცხრილის მიხედვით პირველ ადგილზე ტურინის „იუვენტუსია“, რომელსაც მსაჯების შეცდომით 6-ჯერ უსარგებლია, მაგრამ 9-ჯერ დაზარალებულა.

მტკიცდება ის თეორიაც, რომ ყველაზე მეტად მსაჯების შეცდომებით „ინტერი“ სარგებლობს. „ნერაძურის“ 8 ქულით იმაზე მეტი აქვს, ვიდრე უნდა ჰქონდეს. ყველაზე მეტად დაზარალებული კი „ინტერის“ თანაქალაქელი „მილანია“ — „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, „როსონერის“ 8 ქულა აკლია.

გიორგი კაკაბაძე

შესწორებული ცხრილი			ოფიციალური ცხრილი		
1	იუვენტუსი	48	1	ინტერი	53
2	ინტერი	45	2	რომა	45
3	რომა	45	3	იუვენტუსი	41
4	მილანი	41	4	ფიორენტინა	37
5	ფიორენტინა	36	5	მილანი	33
6	ატლანტა	33	6	უდინეზე	33
7	პალერმო	28	7	ატალანტა	29
8	სამპდორია	28	8	სამპდორია	28
9	უდინეზე	28	9	პალერმო	28
10	ნაპოლი	27	10	ჯენოა	28
11	ჯენოა	26	11	ნაპოლი	27
12	რეჯინა	25	12	კატანია	23
13	ლაციო	24	13	ლაციო	23
14	ლივორნო	23	14	ტორინო	21
15	კატანია	21	15	ლივორნო	21
16	სიენა	21	16	სიენა	20
17	პარმა	19	17	პარმა	19
18	ტორინო	18	18	რეჯინა	18
19	კალიარი	16	19	ემპოლი	16
20	ემპოლი	15	20	კალიარი	14

პატრიკ ვიერირა

მილანის „ინტერი“ კვლავ დამაჯერებლად გაიჭრა წინ სერია A-ში, მაგრამ „ნერაძურის“ თამაში ისევ არადამაჯერებელი გახლდათ. მაჩანჩალა „ემპოლისთან“ საკუთარ „სან სიროზე“ რობერტო მანჩინის გუნდმა ტყუილი პენალტის წყალობით გაიმარჯვა. თერთმეტმეტრიანი მასპინძელთა კარშიც დაინიშნა, მაგრამ ჟულიო სეზარმა ტოსკანელებს არ გაატანინა.

გარდა ამისა, „ინტერს“ კვლავ გაუძევეს კაცი — პატრიკ ვიერირა, ვინც 39-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, ამაზე გაბრაზებულმა მსაჯს შეუკურთხა და არბიტრმაც ყვითელი გაუწითლა.

ბოლო ოთხ მატჩში „ინტერს“ სამი კაცი გაუძევეს და სამივე — პირველ ტაიმში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასევე ბოლო ოთხ მატჩში, კლუბს სამი ძალიან საეჭვო პენალტი დაუნიშნეს.

„მატჩის შედეგი მახარებს, მაგრამ ძალიან ვიწვალეთ. ეს კი იმის ბრალია, რომ მატჩის ნახევარზე მეტი 10 კაცით ჩავატარეთ. ეს უკვე მესამე წითელი ბარათია ბოლო ოთხ მატჩში... მინდორზე ბოლომდე თერთმეტნი რომ ვყოფილიყავით, პრობლემები არ შეგვექმნებოდა, ბევრ გოლს გავიტანდით და დამაჯერებლად მოვიგებდით. არ ვიცი, რა უთხრა ვიერამ მსაჯს, მაგრამ იქამდე პატრიკისთვის პირველ ყვითელი ბარათის ჩვენების აუცილებლობა ნამდვილად არ იყო. რაც შეეხება პენალტებს, დასანიშნი არცერთი არ გახლდათ. თუმცა, რას იზამ, ასეთი რამეები ფეხბურთში ხდება“ — თქვა მანჩინიმ.

პატრიკ ვიერირა: „შეცდომა დავუშვი. მსაჯს ვუთხარი, ჯანდაბაში წადი-მეთქი, ეს არ უნდა მექნა. გამოვიდა, რომ გუნდს ვუღალატე, „ინტერი“ მინდორზე 10 კაცით დარჩა. საბედნიეროდ, მაინც მოვიგეთ და ეს ძალიან მახარებს. ახლა არბიტრებზე ისედაც დიდი ზეწოლაა და არ მინდა, იმ ინციდენტზე ზედმეტი კომენტარი გავაკეთო და დავა დავიწყო, ვიყავი თუ არა გასაგდები. ფაქტია, ეს ჩემი ბრალი იყო“.

როგორც ჩანს, „ნერაძურის“ მიმდინარე სეზონში ნახევარდაცვაში პრობლემების მოგვარება არ უწერია. ბუნებრივია, მომავალი მატჩისთვის ვიერირა დისკვალიფიცირებული იქნება, ხოლო ასევე ახალმოჯობინებული დეიან სტანკოვიჩი „ემპოლისთანვე“, მატჩის 49-ე წუთზე დაშავდა და, სავარაუდოდ, საკმაოდ სერიოზულადაც.

„დასასვენებლად რამდენიმე დღე გვაქვს და ექიმებს ზუსტი დიაგნოზი ჯერ არ დაუსვამთ, მაგრამ დაუფიქრებლად შემიძლია გითხრათ, რომ გარკვეული პერიოდი ისევ უქმობა მომიწევს. ახლა ერთადერთი ის მახარებს, რომ „ემპოლისთან“ რთულ მატჩში 10 კაცითაც შევძელით მოგება“ — აღნიშნა სერბმა ნახევარმცველმა.

„ემპოლის“ მწვრთნელი ალბერტო მალეზანი: „სამწუხაროდ, მსაჯებმა თვითონაც არ იციან, რას აკეთებენ და საბოლოოდ ყველაზე მეტად ყოველთვის პატარა კლუბები ზარალდებიან. იმ აბსურდული პენალტის დანიშვნისას, მეოთხე დამხმარე არბიტრს ველაპარაკე. არც კი იცოდა, რა ეპასუხა. ეტყობა, უბრალოდ, უნდა შევეგუოთ ხოლმე გადაწყვეტილებებს და გავჩუმდეთ. თუმცა ის, რომ ეს მატჩი წავაგეთ, საკუთარ თავსაც უნდა დავაბრალოთ, რადგან შექმნილი მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ძალიან დასანანია, ასეთ შეხვედრაში უქულოდ რომ დარჩები.“

გიორგი კაკაბაძე

ვინ გაუშვა მსაჯი ჯანდაბაში?

რანიერის ჭაღარა შეერია

„იუვენტუსი“ არადამაჯერებლად თამაშს აგრძელებს. ტურინელებმა ამჯერად ბოლო ადგილზე მყოფ და მრავალი გასაჭირის მქონე „კალიარისაც“ კი ვერ მოუგეს, თან შინ. სარდინიელთა მწვრთნელ დავიდ ბალარდინის კი ქების მეტი არაფერი ეკუთვნის, მან გუნდი ურთულეს პერიოდში ჩაიბარა და ბოლო ორ მატჩში უკვე 4 ქულას მოუყარა თავი.

„მახარებს მოჰამედ სისოკოს წარმატებული დებიუტი, მას მინდორზე დიდი დრო არ გაუტარებია, მაგრამ რამდენჯერმე ბურთი მოიპოვა და კარგად ითამაშა. უშუალოდ მატჩი კი კარგი სანახავი გამოვიდა, ორივე გუნდს მოგება უნდოდა, საუკეთესოებად მეკარეებს დავასახელებდი, მათ რთული ბურთები მოიგერიეს. ცხადია, ფრე ჩვენთვის მისაღები შედეგი არ არის, მაგრამ „კალიარი“ ტურინში წასაგებად არ გახლდათ ჩამოსული, თავადაც ნახეთ, თუ როგორი სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიეს სარდინიელებმა“ — თქვა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

მართალია, რანიერი მშვიდად საუბრობს ამ ყველაფერზე, მაგრამ მისი კრიტიკოსების რიცხვი ნელ-ნელა მატულობს და მალე ტურინელთა ფანების გარკვეული ნაწილი ალბათ რანიერის წასვლასაც კი მოითხოვს. შეგახსენებთ, რომ „ბიანკონერის“ საკმაოდ მრავალი ქომაგი უკვე ითხოვს სპორტული დირექტორის ალესიო სეკოს გადადგომას — ერთი ხეირიანი ტრანსფერი ვერ განახორციელაო. ერთი სიტყვით, „ბებერი ქალბატონის“ ბანაკში ყველაფერი კარგად არ არის და თუ ასე გააგრძელდა, მალე, შესაძლოა, ოთხეულს მიღმა დარჩენილი კლუბი და კიდევ უფრო გაჭაღარავებული რანიერი ვიხილოთ.

„იუვეს“ კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო: „ძალიან გულდაწყვეტილები ვართ, რომ სამი ქულა ვერ ავიღეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თამაშის მხრივ ფრე სამართლიანი შედეგი იყო. „კალიარი“ ბრწყინვალედ გაისარჯა და ბოლოს მოგებასაც კი ცდილობდა“.

„დელ პიეროს თამაში საკრიტიკო არ არის, მან ის გააკეთა, რაც შეეძლო. კრისტიანო ძანეტის არყოფნაში ვთხოვე, ნახევარდაცვის ცენტრში დაწეულიყო და მოედნის სიღრმიდანაც დახმარებოდა გუნდს“ — დასძინა რანიერიმ.

დავიდ ბალარდინი: „ბრწყინვალედ გავისარჯეთ და კიდევ მეტი შეგვიძლია. თამაშს ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ, ბიჭების მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ. თუ ასე გავაგრძელებთ, სერია A-ში დარჩენა სულაც არ იქნება შეუძლებელი. რასაკვირველია, „იუვენტუსთან“ სტუმრად აღებული ქულითაც ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ შეიძლებოდა მოგვეგო კიდეც. დასანანია, რომ გოლის გატანიდან რამდენიმე წამშივე გავუშვით საპასუხო ბურთი.“

გიორგი კაკაბაძე

რომაული ამბავი



იტალიური „რომას“ მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი თავის კომენტარებში ყოველთვის ამბობს ხოლმე — მთავარია, თავში არ აგვივარდეს, ახლა ციდან მიწაზე უნდა დავეშვათ, კონცეტრაცია არ დავკარგოთ, შეცდომების გამოსწორებაა საჭირო და ამაზე ვიმუშაოთ, ყველა მეტოქეს სერიოზულად უნდა მივუდგეთ... როგორც ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოდის, რადგან როგორც კი ვითარება ოდნავ დაიძაბება ხოლმე და ხალხი „ჯალოროსის“ სტაბილურად ათამაშებაზე თუ ამის აუცილებლობაზე იწყებს საუბარს, სპალეტის შეგირდები ბრინჯივით იბნევიან.

ასე მოხდა გასულ უქმეებზეც. თავად სპალეტიმ ბევრი კი ილაპარაკა, მეტოქეს ძალიან სერიოზულად ვეკიდებითო, მაგრამ „რომა“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „სიენასთან“ 0:3 განადგურდა და ეს შედეგი სავსებით სამართლიანი გახლდათ.

„როგორც გამოჩნდა, სათანადოდ კონცენტრირებულნი მაინც არ ვიყავით. მეორე ტაიმში კი გამოვფხიზლდით, მაგრამ უკვე გვიანი იყო. „სიენა“ ძალიან შემართული და მოტივირებული გახლდათ, რაშიც ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ცხრილში გაცილებით წინ ვართ, ვერანაირად ვერ შევეწინააღმდეგეთ. პრობლემაც ამაშია. „ინტერთან“ სხვაობა ისევ 8 ქულამდე გაიზარდა. თუ რეგულარულად ამაზე ვილაპარაკებთ და ბიჭებიც სხვა არაფერზე იფიქრებენ, მნიშვნელოვან წარმატებას ვერასდროს მივაღწევთ. მთავარი საკუთარ თამაშზე კონცენტრირებაა. ვულოცავ ტოსკანელებს აბსოლუტურად დამსახურებულ გამარჯვებას“ — თქვა სპალეტიმ.

მიმდინარე სეზონში „სიენას“ აქამდე მხოლოდ ერთი საშინაო მატჩი მოეგო და ტოსკანელებმა, როგორც იქნა, გაახარეს გულშემატკივრები გამარჯვებით, თანაც ასეთ ძლიერ მეტოქესთან.

„ბრწყინვალე მატჩი ჩავატარეთ და, როგორც იქნა, 3 ქულაც მოვიპოვეთ. როგორც წესი, უბრალოდ კარგად ვთამაშობდით და უქულოდ ვრჩებოდით. გუნდმა საკუთარი ძალების ირწმუნა, რაც მახარებს. თუ სერია A-ში დარჩენა გვინდა, ყველას — დიდ თუ პატარა გუნდს — ასე უნდა ვეთამაშოთ“ — განაცხადა „სიენას“ მწვრთნელმა მარიო ბერეტამ.

კოკი კანდელაკი

კაპელოს პრინციპები

არანაირი დაგვიანება;

არანაირი სასტუმროს ოთახის მომსახურება;

მობილურები მხოლოდ საძინებლებში;

კვება მხოლოდ ჯგუფურად;

ჭამის დროს ფეხბურთელები აუცილებლად მოწესრიგებულად უნდა იყვნენ ჩაცმული;

სახალხოდ გუნდის ყველა წევრი ერთნაირ, სანაკრებო სპორტულებში უნდა იყოს გამოწყობილი;

მწვრთნელები ფეხბურთელებს მხოლოდ გვარებით მიმართავენ;

შეკრებაზე არ დაიშვებიან ცოლები, საყვარლები, ნათესავები და აგენტები.

ფაბიო კაპელომ ინგლისის ეროვნული გუნდის შეკრებაზე „დრაკონული“ წესები შემოიღო, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისი მილიონერი ქვეშევრდომები მკაცრ რეჟიმს დაუქვემდებარა. ეს ყველაფერი, ინგლისისა და შვეიცარიის დღევანდელი ამხანაგური შეხვედრის წინ, სასტუმრო „უოტფორდში“ მოხდა. ახალი რეჟიმის შემყურე ბრიტანულმა გაზეთებმა იტალიელი მწვრთნელის სანაკრებო შინაგანაწესს სამხედრო რეჟიმიც კი უწოდეს.

სწორდი, სმენა!

ეს ბიჭი კარგად თამაშობს, თითის წვერებზე დგება...

ნაკრებთან დაახლოებულმა ერთმა ადამიანმა ჟურნალისტებს შესჩივლა, კაპელომ შეკრებაზე ნამდვილი სამხედრო ბაზა გახსნაო. ამბობენ, ინგლისელი ფეხბურთელები ჯერ იტალიელი მწვრთნელის მიერ დევიდ ბექემის უარყოფისგან მიღებულ შოკს ვერ მორევიან და ახლა ეს დაემატათო. მოგეხსენებათ, კაპელოს ბექემი რომ გამოეძახებინა და დღეს შვეიცარიასთან თუნდაც ერთი წუთით შეეშვა მოედანზე, ნაკრების ყოფილ კაპიტანს ეროვნული გუნდის მაისურით მე-100 შეხვედრა ჩაეწერებოდა.

როგორც შეკრებიდან გამოსული ხმები ადასტურებს, ნაკრების ჭიპმოჭრილ ვარსკვლავებს, რიო ფერდინანდსა და სტივენ ჯერარდსაც კი აუხსნეს, თუ ვინ არის უფროსი და სიტუაციის ბატონ-პატრონი.

რიო ფერდინანდი: „კაპელო მე, ისევე, როგორც სხვა ფეხბურთელებს, გვარებით მოგვმართავს. გვარებით მოგვმართავენ მისი ჩამოყვანილი ასისტენტებიც. „ბექსის“ ამბავი კი ადასტურებს, რომ ჩვენს ახალ შეფს სანტიმენტები არ სჩვევია. ვფიქრობ, ათიდან ცხრა მწვრთნელი დევიდს გამოიძახებდა, მაგრამ კაპელომ თავისი სიტყვა თქვა და გვაგრძნობინა, რომ ამ სიტყვის გამო კითხვების დასმა ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ აქ ერთმანეთის გრძნობების გასათვალისწინებლად კი არ შეგვყარეს, ჩვენ წარმატებული გუნდის ნაწილები უნდა გავხდეთ. ფეხბურთელების შერჩევა მწვრთნელის საქმეა და თუ გამარჯვებები გვინდა, ცოცხლებმა თუ მკვდრებმა, მის გადაწყვეტილებებს უნდა ვუერთგულოთ“.

დღეს გუნდს სტივენ ჯერარდი უკაპიტნებს.

ჯერარდი: „ფაბიო ყველას თითის წვერებზე გვატარებს, მაგრამ, მთავარია, მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის დიდი ურთიერთპატივისცემა დამყარდეს. მეგობრობა აუცილებელი ნამდვილად არ არის. ჩვენს შემთხვევაში, კმაყოფილი ხარ თუ არა მწვრთნელთან ურთიერთობით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ინგლისის ნაკრებმა მოიგოს“.

პაპუნა კედია

ფირმა გარანტიას არ იძლევა

61 წლის ფაბიო კაპელოს სანაკრებო დებიუტი დღეს „უემბლიზე“ შედგება და, როგორც ინგლისელი მიმომხილველი მაიკ კოლეტი წერს, ინგლისის სანაკრებო ფეხბურთში ახალი ერა დაიწყება.

ჯერ სვენ-გორან ერიკსონის, მერე კი სტივ მაკლარენის მიერ წახდენილი გუნდის გამოსწორება იტალიელმა იკისრა და პირველი გამოცდა არცთუ ძლიერ შვეიცარიასთან ელის. ევრო 2008-ის მიღმა დარჩენილი ინგლისი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევისთვის მზადებას ამ მატჩით იწყებს.

ფაბიო კაპელომ წინა კვირაში 30-კაციანი სია ჩამოწერა, მერე კი დაფერთხა და საშვეიცარიოდ 23 გამოიძახა. მის ხელქვეით ბიჭებმა პირველად ორშაბათს ივარჯიშეს. მწვრთნელმა შეკრებილებს გამოუცხადა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის ექნება. პრინციპულობით ცნობილმა იტალიელმა თვით დევიდ ბექემი არ გამოიძახა...

ბექემი მთლად არ ამოვარღნილა კაპელოს გეგმებიდან და მწვრთნელი ალბათ მასე მატჩს არ დაამადლებს, მაგრამ ღეგიდ ბეკჩელი და შონ რაიტ-ფილიპსი მარჯვენა ფლანგზე საქმეს კარგად თუ შეასრულებენ, „ფალაქსის“ ლეგიონერის სანაკრებო კარიერა ალბათ მალე დასრულდება. ფაბიო კაპელომ კაპიტნის სამკლავური სტივენ ჯერარდს ანდო, რადგან ჯონ ტერი ტრავმირებულია, თუმც მწვრთნელს ჯერ არ უთქვამს, ვინ უკაპიტნებს გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში.

„ძალინ მძიმე მატჩი გველის, რადგან ინგლისი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავიდა და ხორვატიასთან საშინაო მარცხის შემდეგ საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ, თან ახალი მწვრთნელით, რებილიტაციას შეეცდება — განაცხადა შვეიცარიელთა თავკაცმა იაკობ კუნმა.

ბოლო 60 წელიწადში შვეიცარია ინგლისს 16-ჯერ შეხვდა და მხოლოდ ერთხელ მოუგო.

ვაჟა ხუციშვილი

ერთიცა, ერთიცა და...

ხავიერ მასკერანოს „ლივერპულთან“ ურთიერთობის მოგვარება ამ კვირაშივე სურს. მოგეხსენებათ, კლუბში მისი დარჩენის შესახებ მოლაპარაკებანი თვეობით მიმდინარეობდა — მართალია, არგენტინელი მერსისაიდელთა შემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ იურიდიულად სხვას ეკუთვნოდა. ერთი სიტყვით, საქმე 17 მილიონ გირვანქად მის გამოსყიდვაზე იდგა, ოღონდ, ეგ იყო, ამ თანხას მერსისაიდელთა ამერიკელი პატრონები ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი არ გამოიღიღნენ. გასულ კვირაში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკელებმა „ლივერპულის“ მწვრთნელს რაფა ბენიტესს დაუჯერეს და ხსენებული თანხა გაიმეტეს.

„ჩემი საქმე ფორმალურად ჯერ არ არის მოგვარებული, თუმცა, ყველამ იცის, რომ აქ მინდა დარჩენა — უთხრა არგენტინელმა ინგლისელ ჟურნალისტებს — მწამს, შემდგომი კვირიდან უკვე შემეძლება იმის თქმა, რომ ყველაფერი, როგორც იქნა, დამთავრდა და მე ნაღდი ლივერპულელი ვარ. ერთი სიტყვით, უნდა დავიცადოთ. მართალია, ფაქტობრივად ყველაფერი მოგვარებულია, მაგრამ ერთი მოლაპარაკება კიდევ არის საჭირო. მოკლედ, სადაც ამდენ ხანს დავიცადე, ერთ კვირასაც დავიცდი. აქ, ლივერპულში ფანებს ვუყვარვარ და ეს ფანები მეც მიყვარს. ისინი დიდებულნი არიან და მეც სწორედ ამიტომ მინდა დარჩენა“.

პაპუნა კედია

ორთავას ბრალია

ინგლისის ნაკრებში ცვლილებაა: დაშავებული გებრიელ აგბონლაჰორის ნაცვლად შეკრებაზე მივიდა ჯერმეინ დეფო.

აგბონლაჰორი „ასტონ ვილას“ თავდამსხმელია, „ასტონ ვილა“ კი, მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ბოლო ტურში „ფულემს“ შეხვდა და 1:2 წააგო. სწორედ ამ შეხვედრის პირველ ტაიმში დაიზიანა ფაბიო კაპელოს მიერ გამოძახებულმა ფორვარდმა ორთავა კუნთი.

„ასტონ ვილას“ მწვრთნელი მარტინ ონილი: „ჩვენი კლუბისა და ნაკრების ექიმებს რამე რომ ეღონათ, აგბონლაჰორს შვეიცარიასთან სათამაშოდ სიამოვნებით გავუშვებდი. ეს თავად ფეხბურთელისთვის იქნებოდა კარგი, მაგრამ, სამწუხაროდ, გაირკვა, რომ ეს გამორიცხულია“.

ახლა დეფოს შესახებ: ეს ფეხბურთელი კაპელომ თავიდან შედგენილ 30-კაციან სიაშიც კი არ შეიყვანა, მაგრამ, როგორც ჩანს, შაბათს ნახა „ჩელსის“ წინააღმდეგ მისი დებიუტი „პორტსმუთის“ შემადგენლობაში და მოეწონა.

პაპუნა კედია

დავიდ ვილია: ჩემი შვება-ლხენა გოლები კი არა, გამარჯვებაა

11 საპრიმერო შეხვედრის განმავლობაში „იშიმშილა“ დავიდ ვილიამ და ბოლოს გოლით „ვალიადოლიდთან“ დანაყრდა. „ვალენსიას“ ფორვარდს მადრიდული „ასი“ ესტუმრა და ვილიამაც „ღამურათათვის“ მნიშვნელოვან თემებზე, რონალდ კუმანის სისტემაზე, კლუბის მეპატრონე ხუან სოლერის პროექტსა და ესპანეთის ნაკრებში დავიდ ალბელდას დაბრუნებაზე ისაუბრა

— დასაწყისისთვის ერთი საიდუმლო გავამხილოთ — თქვენთან ინტერვიუზე „ვისენტე კალდერონზე“, „ატლეტიკოსთან“ სათასო მატჩის შემდეგ შევთანხმდით, თუმცა მაშინ გვითხარით, რომ უმჯობესი იქნებოდა, საუბარი „ვალიადოლიდთან“ თამაშის მერე შემდგარიყო. მაშინ თქვით, რომ „ბულდოგებს“ გოლს უეჭველად შეუგდებდით...

— მაშინ ცოტა ეიფორიაში ვიყავი, „კალდერონზე“ „ვალენსიამ“ თასის ნახევარფინალი გაინაღდა. თუმცა გოლის გატანისაც მჯეროდა, რადგანაც ვხედავდი, რომ საქმე კარგად მიდის.

— ბოლოს და ბოლოს, მშვიდად დაძინებას შეძლებთ...

— „ვალიადოლიდთან“ შეხვედრამდე მამაჩემმა, რომელიც ჩემი მთავარი კრიტიკოსია, მითხრა, რომ საუკეთესო ფორმასთან ახლოს ვიყავი და გოლის გატანასაც წინ ბევრი არაფერი ეღობებოდა. როგორც ყოველთვის, მამა მართალი გამოდგა, თუმცა „ვალენსიას“ ჩემს გოლზე მეტად მოგება სჭირდებოდა. დამიჯერეთ, მშვიდად იმიტომ დამეძინა, რომ მოვიგეთ, და არა ჩემი გოლის გამო.

— პრესკონფერენციაზე აღნიშნეთ, რომ ამ გოლმა განსაკუთრებული შვება ვერ მოგგვარათ. ვისაც ფეხბურთში რამე გაეგება, ძნელია, თქვენს სიტყვებში ეჭვი არ შეეპაროს...

— მერწმუნეთ, მაშინ მართალი ვთქვი. არ მიყვარს, როცა ჩემს მიღწევებზე, განსაკუთრებით კი, ნეგატიურ შედეგებზე საუბრობენ. ერთი გოლით განცდილ შვებაზე, თუ გულიდან ლოდის მოხსნაზე ლაპარაკი, ჩემი სტილი არ არის. შვებას მაშინ ვიგრძნობ, როცა გუნდს ჩემი გოლით რამე მნიშვნელოვანი ტიტულის მოგებაში, ან კიდევ წლეულს საჩემპიონთალიგო ოთხეულში მოხვედრაში დავეხმარები, მონდომებასა და შრომასთან ერთად დასახულ მიზანს მივაღწევთ. ახლა ოთხშაბათს საფრანგეთის ნაკრებთან და პრიმერადივიზიონში „ბეტისთან“ მინდა გოლების გატანა.

— ბევრი ფიქრობს, რომ თქვენს ცუდბედიანობაში უშუალოდ დავიდ ვილიას კრიზისი კი არა, „ვალენსიას“ უსუსურობაა დამნაშავე. გუნდი მეტოქის კართან სახიფათო სიტუაციების შექმნას ვერ ახერხებს...

— ეს ორი ფაქტორი მართლაც არსებობს. თან გადატანილ ტრავმათა გამო ფიზიკურად თავს საუკეთესოდ ვერ ვგრძნობ. „ვალენსია“ ცუდად თამაშობდა და გოლების გატანა ჩემს გარდა სხვებსაც უჭირდათ. ყოველივემ ჯამში საკმაოდ გვაზარალა, თუმცა ახლა ძველის დავიწყება და მომავალზე ფიქრი გვმართებს. დღეს უკეთ ვარ და თუ შრომას არ შევწყვეტ, გოლები და გამარჯვებები გახშირდება.

— რონალდ კუმანის მიერ შემოთავაზებული სისტემა „ვალენსიას“ მოედნის ცენტრში მეტოქეზე რიცხოვრივი უპირატესობით უზრუნველყოფს, თუმც ეს წინახაზის შეკვეცის ხარჯზე ხდება. ცვლილებებთან შეგუება არ გაგიჭირდათ?

— წუწუნს არ დავიწყებ. ჩემი აზრით, სათამაშო სისტემის ვარგისიანობა მის სწორად გადმოცემასა და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. პირადად დავიდ ვილიასთვის კუმანის სისტემა კარგია თუ ცუდი, ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

— ახლა თავდასხმაში თავს ეულად გრძნობთ?

— მარტოობისა რა გითხრათ, მაგრამ ადრე, როცა ორი ფორვარდით ვთამაშობდით, უფრო მეტ მხარდაჭერას ვგრძნობდი. ახლა თავდასხმაში მარტო ვარ. ვერ ვიტყვი, რაც უფრო მეტი ფეხბურთელია თავდასხმაში, უფრო მეტ გოლს შეაგდებენო, თუმც გავიმეორებ, რომ კუმანის მწვრთნელობამდე წინა ხაზზე ორნი ვიყავით.

— კოჭის და კუნთების ტრავმები გაწუხებდათ. მიუხედავად ამისა, პრობლემებს მოერიეთ და დღეს მეტოქეთათვის ისევ ძალიან სახიფათო ხართ. ეს ვილიას სიძლიერეზე მეტყველებს...

— პოზიცია, რომელზეც ვთამაშობ, მავალდებულებს, საუკეთესო ფორმაში ვიყო. ოდნავ უქეიფოდ ყოფნაც კი საკმარისია, რომ სირბილი და მეტოქის შევიწროება გაგიჭირდეს და ნაკლებ გამოსადეგი გახდე. შეუძლებელია, ტრავმირებული კაცი გუნდს ჯანმრთელივით დაეხმაროს.

— მადრიდში ეროვნული გუნდის შეკრებაზე დავიდ ალბელდას შეხვდით. ყოფილ თანაგუნდელს რა უთხარით?

— უპირველეს ყოვლისა, წარმატება ვუსურვე. ალბელდასთვის და ჩვენთვის ნაკრებში მისი გამოძახება შესანიშნავი ამბავია. ვიცით, მოედანზე რეალურად რის გაკეთებას შეძლებს. მიხარია, რომ დავიდ ალბელდა, რომელსაც ცხოვრებაში რთული პერიოდი უდგას, სამი დღის განმავლობაში დიდ ფეხბურთს დაუბრუნდება.

— ალბელდა ევრო 2008-ზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებს?

— ეს ძნელი საქმეა. მწვრთნელს შეუძლია, ალბელდას პოზიციაზე მისი დონის სხვა ფეხბურთელი ათამაშოს. თუმცა, თუ ასეთი ფეხბურთელი არ მოიძებნა, ალბელდას ევრო 2008 არ აცდება, მიუხედავად იმისა, რომ დღეს უგუნდოდაა დარჩენილი. მთავარია, ვარჯიში არ შეწყვიტოს და ბრძოლაზე ხელი არ აიღოს. დავიდისნაირ ტიპებს ვიცნობ და ვიცი, რომ ისინი არასოდეს ნებდებიან.

— „ვალენსიას“ შემადგენლობაში ფეხბურთელთა იმ მცირე ჯგუფში ხართ, ვისაც კოპა დელ რეი უკვე მოუგია (2004 წ.). სათასო შეხვედრებს თქვენი თანაგუნდელებივით ინტერესით ეკიდებით? ამ ტურნირს დღეს ნაკლებადმნიშვნელოვნად ხომ არ თვლით? „ვალენსიაში“ უფრო დიდი ჯილდოების მოსაგებად მოხვედით...

— ვფიქრობ, რომ ეს ტურნირი დანარჩენ დიდ გათამაშებებს არაფრით ჩამოუვარდება. ესპანეთში თასს ზოგი ირონიით უყურებს, მაგრამ სინამდვილეში კოპა დელ რეის მატჩები მუდამ საინტერესო იყო და ასეც დარჩება. გაიხსენეთ, რამდენი ხანია, მადრიდის „რეალს“ თასი არ მოუგია, ან კიდევ „ვალენსია“, რომლის ბოლო, სევილიური ფინალიდან 9 წელიწადი გავიდა. ამ სეზონში ჯერჯერობით ვერაფრით გავიბრწყინეთ, ამიტომაც კოპა დელ რეის მსგავსი მნიშვნელოვანი ტურნირის მოგება ჩვენთვის უდიდესი სიხარულის ტოლფასი იქნება.

— მაგრამ ჯერ ნახევარფინალში „ბარსელონას“ უნდა შეეჭიდოთ...

— ჰო... აქ რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ნახევარფინალში კატალონიელებს რომ არ დავჯახებოდით, ალბათ, ფინალამდე უფრო იოლად მივიდოდით, თუმც კოპა დელ რეის ფავორიტის გამოსავლენად 4 საუკეთესო გუნდია დარჩენილი და მიზნის მისაღწევად ნებისმიერი მათგანის დასამარცხებლად უნდა იყო მზად. სათასო შეხვედრები ორმატჩიანია, „ბარსელონასთან“ ორ რაუნდში კი უფრო მეტი შანსი გვექნება, ვიდრე ერთ თამაშში. პირველ მატჩს „კამპ ნოუზე“ გავმართავთ, მერე კი ვნახოთ, შედეგის მიხედვით ვიმოქმედებთ.

— რონალდ კუმანთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— რა ურთიერთობა უნდა მქონდეს... პირად ცხოვრებაზე ერთმანეთში არ ვლაპარაკობთ, თუმცა გუნდზე და ტაქტიკის შესახებ საკმაოდ ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე.

— დავიდ ვილიას „ვალენსიაში“ თავისი სიტყვა ეთქმის. კუმანმა კლუბის ერთ-ერთ ავტორიტეტს „მესტალიადან“ სამი თანაგუნდელის მოკვეთის მოტივები თუ აუხსნა? თუმცა თქვენ მედიასთან ამაზე ალბათ არ ილაპარაკებთ...

— მწვრთნელს არც ჩემთვის აუხსნია გუნდიდან ბიჭების დათხოვნის მიზეზი და არც სხვა ფეხბურთელებისთვის. რახან კუმანთან ამ თემაზე არ მისაუბრია, კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

— კლუბისადმი ერთგულებით გამოირჩევით. ბოლო რამდენიმე ზაფხულის განმავლობაში სხვა გუნდების სარფიან სატრანსფერო წინადადებებზე თქვით უარი და ისევ „მესტალიაზე“ დარჩით. თუმც ამბობენ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დავიდ ვილია „ვალენსიას“ დატოვებს...

— ნაცნობი სურათია. ასეთ ხმებს ყოველწლიურად ვისმენ და ვპასუხობ, რომ „ვალენსიაშიც“ და ქვეყნის ნაკრებშიც გოლების გატანა და გამარჯვების სიხარულის შეგრძნება მინდა. მსურს, ფეხბურთით ვისიამოვნო. მერე რაც მოხდება, ამას უკვე დრო გვიჩვენებს.

— გუნდის მეპატრონემ ხუან ბატისტა სოლერმა კონტრაქტის გახანგრძლივება და „ღამურებთან“ უფრო მეტი ხნით დარჩენა შემოგთავაზათ. მოგწონთ ეს პროექტი?

— ამაზე პასუხს ზაფხულში გეტყვით. ვნახოთ, მაშინ სიტუაცია როგორ წარიმართება, „ვალენსია“ რა შედეგს მიაღწევს... მომავალს ვერ ვიწინასწარმეტყველებ, საღღეისოდ კი „ვალენსიას“ წარმატებისთვის ვიბრძვი.

ლადო ხოფერიძე

მალაგაში საფრანგეთს გაანწილებენ

ესპანეთის ნაკრებმა 2007 წელი დაუმარცხებლად ჩაამთავრა და ევროპის ჩემპიონატის საგზურიც ჯიბეში ჩაიდო. თუმცა 2008-ის პირველი შეხვედრისთვის ლუის არაგონესის გუნდი ტრაკებმა და ავადმყოფობებმაც დაფალეს და „ფურია როხასაც“ მალაგაში ფრანგებთან ჭიდილი, ალბათ, გაუჭირდება.

პირენეებზე რაულსა და ნაკრების მოხუც მწვრთნელს შორის უცნაური კონფლიქტი უკვე მომეზრდათ, თუმც დონ ლუისი ჯიუტია და ყოფილ კაპიტანს ბურთს და მოედანს არც გალებთან გააკარებს. კარლეს პუიოლმა და მარკუს სენამ „ბარსასა“ და „ვილიარეალის“ სათასო მატჩში მიიღეს ტრავმები და დღეს მათი ბედიანობა საეჭვოა. სერხიო რამოსი „ალმერიასთან“ ჯახში დაშავდა, დავიდ სილვა კი მარცხენა ფეხს იტკივებს და ადვილი მოსალოდნელია, მალაგური ომი გამოტოვოს.

ბარსელონელი ბოიან კრკიჩი დღეს ესპანეთის ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად უნდა ქცეულიყო, ვისაც „როხას“ მაისურით უთამაშია. ისტორიული რეკორდი, სავარაუდოდ, ვერ შედგება, რადგანაც კრკიჩი კუჭთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვარჯიშს ვერ ახერხებს. ტრავმირებულია არბელოა, ხოლო მარჩენამ ნაკრების მატჩისწინა წვრთნაზე ფეხი იტკინა და მოედანი კოჭლობით დატოვა. დათარსულ ესპანეთის ალბათ ვერც ეს ვალენსიელი დაეხმარება...

დავიდ ალბელდა კი ლუისმა განაცხადში შეიყვანა. ალბელდა მოხუცის ერთ-ერთი ფავორიტია, თუმც, რაც „ვალენსიადან“ დაითხოვეს, უკლუბოდაა და ასე თუ გაგრძელა, მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანს.

ფრანგთა მთავარი დანაკლისი ბიერნიელი ფრანკ რიბერია — მან მარცხენა ფეხის ტრავმა ვერ მოერჩინა და ესპანურ პაემანსაც ამად გამოტოვებს. „რიბერი ფეხბურთს დაახლოებით ერთი თვით ჩამოსცილდება“ — აცხადებს ფრანგების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი, ვისაც სხვა შეგირდიც ჰყავს უქეიფოდ — ვეიერამ გაზეთებს უთხრა, რომ მოედანზე მთელი 90 წუთის განმავლობაში ვერ ითამაშებს.

ვეიერამ ტრავმა 2007-ის ოქტომბერში მიიღო და ახლა ეშინია, არ გაურიულდეს. საფრანგეთის ნაკრები კი თავისთვის უჩვეულო, წითელი ფორმით ითამაშებს „ლა როზალედაზე“ — რაიმონ დომენეკმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ წითელი ფრანგთა დროშის ერთ-ერთი ფერია და ამიერიდან „მამლების“ სათადარიგო აბჯარსაც ალისფრად აალაპლაპებენ.

ესპანურმა „მარკამ“ კი წარსული მოქეფა და გამოარკვია, რომ ფრანგებს თავიანთ ისტორიაში წითელი ტრუს-მაისურათი მხოლოდ ერთხელ, 1906 წელს ინგლისელთა წინააღმდეგ უთამაშიათ და ის მატჩი 0:15 წაუგიათ.

ლადო ხოფერიძე

ბუნდესნაკრები საავსტრიოდ გულმოდგინედ ემზადება

ავსტრია — გერმანია: ვენამდე ვენაში

მიხაელ ბალაკს ისე მოსწყურდა სანაკრებო ფეხბურთი, რომ თავგაკერილი და ოდნავ ფეხმტკივანი დღეს მაინც ითამაშებს. „ჩელსის“ ლეგიონერს „პორტსმუტთან“ მატჩში მეტოქესთან შეჯახებისას თავი გაუტყდა და ნაკერები დაადეს, მაგრამ შარშანდელი მარტის აქეთ ნაკრების მაისურა არ მოურგია და თამაშის სურვილმა ტრავმა გადაწონა.

გერმანია ევრო 2008-ზე თანამასპინძელ ავსტრიასთან ერთ ჯგუფში მოხვდა. მეზობლები ერთმანეთს 16 ივნისს ვენაში შეხვდებიან, მანამდე კი დღეს, ასევე ვენაში, ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

კარგა ხანია, ავსტრიას ასე სუსტი ნაკრები არ ჰყოლია — შარშან 12 ამხანაგური მატჩი ითამაშა და მხოლოდ ერთი მოიგო. მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ცუდი შედეგების მიუხედავად, გუნდის გაახალგაზრდავებას გააგრძელებს და ტურნირის დაწყებამდე დარჩენილ ოთხ ამხანაგურში ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევას შეეცდება. ჰიკერსბერგერმა საგერმანიოდ კვლავ გამოიძახა ჰერენვენელი ტომას პრაგერი და მიდლსბროელი ემანუელ პოგატეცი, რომლებიც დროებით მოკვეთილნი იყვნენ. შარშან სექტემბერში, ჩილესთან მარცხის შემდეგ, ხსენებულმა ფეხბურთელებმა მწვრთნელი საჯაროდ გააკრიტიკეს, რის გამოც ორივე გუნდიდან გააძევეს, მაგრამ მოშუღლეები შერიგდნენ და ისევ ერთად არიან. პრაგერი „ჰერენვენის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, პოგატეცი კი „ბოროში“ სასტარტოს კაცია. ამჟამად ნაკრებში ყველაზე გამორჩეულია „ბრაგას“ ლეგიონერი როლანდ ლინცი, რომელმაც ამ სეზონის 13 მატჩში 9 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება გერმანიას, იოახიმ ლიოვს გაუხარდა, რომ იენს ლემანი კვლავ დაბრუნდა „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში. მანუელ ალმუნია დაშავდა და გერმანელ მეკარეს კვლავ გაუჩნდა ძელებსშუა ადგილის დამკვიდრების შანსი. სექტემბრის მატჩებში ზედიზედ ორი შეცდომის გამო არსენ ვენგერმა ლემანი კარს გაარიდა და ოთხი დღის წინ „სიტისთან“ შეხვედრისას დააბრუნა. ეს სწორედაც რომ დროული იყო ბუნდესნაკრებისთვის.

ლიოვს სასიხარულოს გარდა საფიქრალიც აქვს, რაკი ოლივერ ნოივილი, კრისტოფ მეცელდერი, კლემენს ფრიცი, არნე ფრიდრიხი და ტორსტენ ფრინგსი ტრავმირებულნი არიან. ფრინგსის ადგილს, სავარაუდოდ, ტომას ჰიცლშპერგერი დაიკავებს და ნახევარდაცვაში მიხაელ ბალაკს შეუამხანაგდება.

ვაჟა ხუციშვილი

ჯადოს ახსნა სპლიტში

ხორვატები ჰოლანდიას სპლიტში უმასპინძლებენ, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არასოდეს მოუგიათ: რვიდან ექვსი მატჩი ფრედ დაასრულეს, ორი კი წააგეს. ბოლო ფრე 1995 წელს ბრაზილიასთან გაახერხეს.

დამხვდურთა მწვრთნელი სლავენ ბილიჩი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი დღეს ჯადოს მოიხსნის და ქომაგებს გამარჯვებით გაახარებს. „კარგია, რომ კვლავ ვითამაშებთ სპლიტში და დანავსული სერიის შეწყვეტის შანსი გვექნება. მატჩი ამხანაგურია და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებს ვხვდებით, მაგრამ მხოლოდ მოგება დამაკმაყოფილებს. „უემბლიზე“ ინგლისის დამარცხების შემდეგ ეს პირველი მატჩია ჩვენთვის და უნდა დავამტკიცოთ, რომ ლონდონში გამარჯვება შემთხვევითი არ იყო და ევროპის სახელოვან გუნდებთან ჭიდილი ტოლსწორად შეგვიძლია“ — განაცხადა ბილიჩმა.

მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ, სტუმრებს კი ტრავმის გამო რუუდ ვან ნისტელროი, არიენ რობენი, რობინ ვან პერსი, ორლანდო ენგელაარი, კლარენს ზეედორფი და ანდრე ოიერი დააკლდებათ. ოიერი ორშაბათს სამედიცინო შემოწმების მერე გამოაკლდა გუნდს და მწვრთნელმა მის ნაცვლად ალკმაარელ დავიდ მენდესს უხმო. ვან ბასტენმა „ლივერპულის“ ფორვარდი დირკ კუიტი ნაკრებს მიღმა დატოვა, რაკი ფორმაში არაა და შეტევაში აიაქსელი კლაას იან ჰუნტელაარი ითამაშებს, რომელმაც კვირას „ფეიენორდთან“ (3:0) დუბლი შეასრულა. ჰოლანდიელთა თავკაცმა ენგელაარის და ზეედორფის შემცვლელები არ გამოიძახა.

„თუნდაც შესუსტებული შემადგენლობით, ამხანაგური მატჩი ყოველთვის სასარგებლოა. ტრავმა ფეხბურთელებმა, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზეც მიიღონ და საამისოდ მზად უნდა ვიყოთ“ — თქვა რაფაელ ვან დერ ვაარტმა.

სლავენ ბილიჩი

ვაჟა ხუციშვილი

პატო: მინიმუმ სამი კვირით...

„მილანის“ ექიმები ზუსტად ჯერ კიდევ ვერ ამბობენ, თუ რამდენი ხანი ვერ გავა მინდორზე „ფიორენტინასთან“ მატჩში დაშავებული ალექსანდრე პატო, მაგრამ აპენინებზე გავრცელებული ცნობით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ 18 წლის ბრაზილიელს სულ მეორე სამკვირიანი უქმობა არ აჯდება.

შესაბამისად, გამორიცხა პატოს თამაში 20 თებერვალსაც — ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში. მოგეხსენებათ, ბრაზილიელი ლონდონში „არსენალს“ სტუმრობს. „იხვს“ სერია A-ში „სიენასთან“, „ლივორნოსთან“ და „პარმასთან“ შეხვედრების გამოტოვებაც მოუწევს.

კარლო ანჩელოტის ახლა ყველაზე ნაკლებად ალბათ სწორედ პატოს ტრავმა უნდოდა. ჯერ ერთი, რომ ბრაზილიელმა ბრწყინვალედ დაიწყო და 6 თამაშში 4 გოლი გაიტანა, მერე მეორე — „როსონერის“ ახლა თავდასხმაში ძალიან უჭირს. გამოკვეთილ ფორვარდებს რომ შეეჩეო, ამჟამად ბოლომდე ჯანზე არც გუნდის ლიდერი კაკაა.

რადგან სიტყვა კაკაზე ჩამოვარდა, ისიც ვთქვათ, რომ ბრაზილიელი ახლახან ესპანურ „ელ პუბლიკოს“ გაესაუბრა და კიდევ ერთხელ განაცხადა, „მილანში“ ვრჩები, ჭორებს ყურს ნუ დაუგდებთო. მოგეხსენებათ, მას ისევ ჯიუტად უკავშირებენ მადრიდის „რეალსა“ და სხვა კლუბებს.

„კარიერას სიამოვნებით დავასრულებდი „მილანში“. კლუბთან ერთად კიდევ ბევრი ტიტულის მოგება მინდა და იმედია, ასეც მოხდება. მიყვარს „როსონერი“ და მსურს, ერთ დღეს მისი კაპიტანი გავხდე. ასევე მიყვარს ქალაქიც და ქვეყანაც. სატრანსფერო ჭორები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ეს არ მაწუხებს. ყოველთვის ნათლად ვამბობდი: არსად წასვლა არ მინდა“ — აღნიშნა კაკამ.

გიორგი კაკაბაძე

პუიოლი გაწყდა

„ბარსელონას“ კაპიტანს კარლეს პუოლს ბარძაყის კუნთი გაუწყდა და „სელტიკთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ალბათ ვერ ითამაშებს. „ბარსას“ კაპიტანი ოთხშაბათს „ვილიარეალთან“ სათასო შეხვედრისას დაშავდა და ლილიან ტურამით შეცვალეს. 29 წლის ფეხბურთელი ესპანეთის ნაკრებს ზეგ საფრანგეთთან ამხანგურ შეხვედრაშიც ვერ დაეხმარება. პუიოლის გამოკეთებას დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება. „ბარსელონა“ გლაზგოში „სელტიკს“ 20 თებერვალს ესტუმრება.

ჩუპო-მოტინგი

„ჰამბურგის“ ახალგაზრდა ფორვარდმა ერიკ-მაქსიმ ჩუპო-მოტინგმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. 18 წლის ფეხბურთელი გუნდში 2011-ის ზაფხულამდე დარჩება. მან ამ სეზონში შეცვლაზე ცხრაჯერ ითამაშა. მწვრთნელები მისი გარჯით კმაყოფილნი არიან და ამიტომ დატოვეს. „ჰამბურგში“ ჩემი საქმე კარგად მიდის და დარწმუნებული ვარ, პროგრესი გაგრძელდება“ — თქვა ჩუპო-მოტინგმა, რომელიც ოთხშაბათის „ესენთან“ სათასო შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იყო.

ვაჟა ხუციშვილი

გერმანია

II ბუნდესლიგა. XVIII ტური

კარლ ცაისი 2:3 ალემანია

გლადბახი	18	10	7	1	37:19	37
მაინცი	18	9	5	4	32:17	32
ფიურტი	18	9	5	4	31:21	32
კიოლნი	18	9	4	5	33:24	31
ფრაიბურგი	18	8	7	3	28:21	31
მიუნხენი	18	7	7	4	29:21	28
ჰოფენჰაიმი	18	6	7	5	26:27	25
ალემანია	18	6	6	6	25:25	24
აუგსბურგი	18	6	5	7	26:28	23
ვეჰენი	18	5	8	5	26:28	23
კობლენცი	18	5	8	5	22:26	23
ზანკტ პაული	18	6	5	7	21:25	23
ოსნაბრიუკი	18	5	6	7	26:33	21
ოფენბახი	18	5	6	7	19:30	21
ლაუტერნი	18	3	7	8	18:22	16
აუე	18	4	4	10	21:32	16
კარლ ცაისი	18	3	4	11	25:36	13
პადერბორნი	18	1	9	8	11:21	12

პორტუგალია

სუპერლიგა. XVIII ტური

სეტუბალი 1:2 ნავალი

0:1 მარსელინიუ (39), 0:2 მარინიუ (55), 1:2 სევერინუ (59)

პორტუ	18	14	2	2	32:7	44
ბენფიკა	18	9	7	2	29:10	34
გიმარაეში	18	9	4	5	22:22	31
სპორტინგი	18	8	6	4	25:16	30
მარიტიმუ	18	8	2	8	22:17	26
ბელენენსეში	18	6	8	4	17:16	26
სეტუბალი	18	5	10	3	23:18	25
ბრაგა	18	6	7	5	20:21	25
ნასიონალი	18	5	7	6	12:13	22
ბოავიშტა	18	5	7	6	21:28	22
ლეიშოეში	18	3	10	5	17:20	19
აკადემიკა	18	4	7	7	18:27	19
ნავალი	18	5	4	9	14:27	19
ამადორა	18	3	9	6	19:21	18
ფერეირა	18	4	3	11	18:28	15
ლეირია	18	1	5	12	13:31	8

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

ᲞᲐᲠᲐᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		9 თებერვალი						
16:45	3	ასტონ ვილა-ნიუკასლი	1.80	3.30	4.55	1.16	1.28	1.91
19:00	4	ბოლტონი-პორტსმუთი	2.45	3.20	2.75	1.38	1.29	1.47
19:00	6	დერბი-ტოტენჰემი	5.20	3.60	1.60	2.12	1.22	1.10
19:00	8	ევერტონი-რედინგი	1.50	3.70	6.30	1.06	1.21	2.33
19:00	12	მიდლსბრო-ფულემი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
19:00	13	სანდერლენდი-უიგანი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
19:00	14	ვესტ ჰემი-ბირმინგემი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
		10 თებერვალი						
20:00	5	ჩელსი-ლივერპული	2.05	3.20	3.55	1.24	1.29	1.68
17:30	10	მანჩესტერი-სიტი	1.30	4.60	9.50	1.01	1.14	3.09
		11 თებერვალი						
23:45	1	არსენალი-ბლეკბერნი	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		8 თებერვალი						
23:45	21	ჩარლტონი-კრისტალ პალასი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
		9 თებერვალი						
19:00	15	საუთჰემპტონი-ქარ	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
19:00	16	ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი	3.00	3.20	2.15	1.54	1.25	1.28
19:00	17	ვულვერჰემპტონი-სტოკი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
19:00	18	ბრისტოლი-უენსდი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	19	ბარნლი-კოლჩესტერი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
16:00	20	კარდიფი-ნორვიჩი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
19:00	22	ჰალი-ბლეკპული	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
19:00	23	იფსვიჩი-უოტფორდი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
21:20	24	ლესტერი-პლიმუთი	2.20	3.30	2.90	1.31	1.25	1.54
19:00	25	პრესტონი-ქოვენთრი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	26	შეფილდი-სანთორპი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
		ინგლისი. I ლიგა						
		9 თებერვალი						
19:00	27	ნოტინგემი-მილუოლი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
19:00	28	ოლდჰემი-ჯილინგემი	1.80	3.30	4.15	1.16	1.25	1.83
19:00	29	პორტ ვეილი-კარლაილი	3.50	3.30	1.90	1.69	1.23	1.20
19:00	30	საუთენდი-პარტლეპული	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
19:00	31	ტრანმერი-ლეიტონი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
19:00	32	ჩელტენჰემი-ბრაიტონი	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
19:00	33	უოლსოლი-იოვილი	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
19:00	34	ქრიუ-სუონსი	4.10	3.30	1.80	1.82	1.25	1.16
19:00	35	დონკასტერი-როვერსი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
19:00	36	პადერსფილდი-სუინდონი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
19:00	37	ლუტონი-ბორნმუთი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
19:00	38	ნორთჰემპტონი-ლიდსი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
		ინგლისი. II ლიგა						
		9 თებერვალი						
19:00	39	მორიკომბი-მაკლესფილდი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
19:00	40	პიტერბორო-რექსემი	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
19:00	41	სტოკპორტი-ნოტსი	1.70	3.40	4.70	1.13	1.24	1.97
19:00	42	ბრედფორდი-ბერი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
19:00	43	უიკომბი-მენსფილდი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
19:00	44	ბრენტფორდი-შრიუსბერი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	45	ჩესტერი-აკრინგტონი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
19:00	46	დარლინგტონი-ბარნეტი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
19:00	47	გრიმსბი-ჩესტერფილდი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
19:00	48	ჰერეფორდი-დგ ენდ რედი	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
19:00	49	ლინკოლნი-როჩდეილი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
19:00	50	დონსი-როტერჰემი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		9 თებერვალი						
16:30	101	დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი	1.90	3.25	3.50	1.19	1.23	1.68
19:00	102	ჰართსი-გრეტნა	1.40	3.80	7.20	1.02	1.17	2.48
19:00	103	მოზერუელი-კილმარნოკი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
19:00	104	რეინჯერსი-ფოლკირკი	1.20	5.00	12.00	1.00	1.09	3.52
19:00	106	სტ.მირენი-ინვერნესი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
		10 თებერვალი						
18:00	100	აბერდინი-სელტიკი	5.30	3.60	1.55	2.14	1.19	1.08
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		8 თებერვალი						
23:30	125	აინტრახტი-არმინია	1.75	3.30	4.75	1.14	1.27	1.94
		9 თებერვალი						
18:30	123	ლევერკუზენი-პაბერგი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:30	124	შტუტგარტი-ჰერტა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
18:30	126	ბოხუმი-კოტბუსი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
18:30	127	პანოვერი-კარლსრუე	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
18:30	128	ნიურნბერგი-ჰანზა	1.70	3.40	4.65	1.13	1.24	1.96
18:30	129	ვოლფსბურგი-დუისბურგი	1.60	3.40	5.30	1.08	1.22	2.07
		10 თებერვალი						
20:00	122	ბაიერნი-ვერდერი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
20:00	130	დორტმუნდი-შალკე	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
		იტალია. სერია A						
		9 თებერვალი						
23:30	147	რომა-რეჯინა	1.20	5.70	13.00	1.00	1.09	3.96
21:00	151	ატალანტა-ფიორენტინა	2.85	3.00	2.50	1.46	1.33	1.36
		10 თებერვალი						
23:30	140	კატანია-ინტერი	6.00	3.40	1.60	2.17	1.26	1.08
18:00	142	უდინეზე-იუვენტუსი	3.10	3.00	2.30	1.52	1.32	1.30
18:00	143	ემპოლი-ლაციო	2.80	3.00	2.55	1.44	1.33	1.37
18:00	144	სამპდორია-ნაპოლი	1.80	3.00	4.55	1.12	1.28	1.80
18:00	145	ტორინო-პალერმო	2.40	3.20	2.80	1.37	1.29	1.49
18:00	146	კალიარი-პარმა	2.25	3.00	3.20	1.28	1.32	1.54
18:00	149	მილანი-ხიენა	1.25	5.20	11.00	1.00	1.12	3.53
18:00	152	ლივორნო-ჯენოა	2.25	2.90	3.35	1.26	1.34	1.55

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		9 თებერვალი						
23:00	185	მურსია-ვილიარეალი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
23:00	191	დეპორტივო-ხეტაფე	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
23:45	193	სევილია-ბარსელონა	2.60	3.10	2.50	1.41	1.27	1.38
		10 თებერვალი						
20:00	182	ოსასუნა-სარაგოსა	2.30	3.10	2.85	1.32	1.27	1.48
20:00	183	ბილბაო-ლევანტე	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
20:00	184	რასინგი-ატლეტიკო	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
20:00	187	მალიორკა-ალმერია	2.05	3.10	3.40	1.23	1.27	1.62
22:00	188	რეალი-ვალიადოლიდი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
23:45	190	ვალენსია-ბეტისი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
20:00	192	ესპანიოლი-უელვა	1.55	3.40	6.50	1.06	1.25	2.23
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		9 თებერვალი						
23:00	206	რენი-ოსერი	1.90	3.00	3.80	1.16	1.26	1.67
18:00	207	პსჟ-ლე მანი	1.75	3.00	4.60	1.10	1.26	1.81
23:00	209	მონაკო-ლილი	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
23:00	210	ვალენსიენი-ლორიანი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
23:00	212	ბორდო-მეცი	1.30	4.30	8.40	1.00	1.12	2.84
23:00	214	სტრასბური-სტ.ეტიენი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
23:00	215	ლიონი-სოშო	1.30	4.30	8.40	1.00	1.12	2.84
23:00	217	ნანსი-ტულუზი	1.75	3.10	4.60	1.11	1.26	1.85
		10 თებერვალი						
21:00	208	კაენი-ლანსი	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
23:45	211	ნიცა-მარსელი	2.50	2.80	2.80	1.32	1.32	1.39
		პოლანდია. I დივიზიონი						
		6 თებერვალი						
23:00	99	სპარტა-ბრედა	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
		საბერძნეთი						
		9 თებერვალი						
18:45	269	ლარისა-აეკ	4.20	3.20	1.75	1.81	1.23	1.13
21:00	270	პანათინაიკოსი-ვეროია	1.10	7.40	14.00	1.00	1.01	4.84
21:00	272	ირაკლისი-ატრომიტოსი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
		10 თებერვალი						
17:00	274	ერგოტელისი-კალამარია	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
17:00	275	ქსანთი-ლევადეიაკოსი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
21:00	276	პაოკ-არისი	2.40	2.90	2.80	1.31	1.29	1.42
18:45	277	ასტერას ტრიპოლისი-ოფი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
21:00	279	პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი	4.20	3.20	1.75	1.81	1.23	1.13
		აფრიკის თასი 2008						
		7 თებერვალი						
21:00	398	განა-კამერუნი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
21:00	399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	1.70	3.30	4.75	1.12	1.25	1.94
		მწ. შესარჩევი მატჩები						
		6 თებერვალი						
12:30	385	ავსტრალია-ყატარი	1.30	4.40	8.00	1.00	1.11	2.83
14:15	386	იაპონია-ტაილანდი	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
15:00	387	სამხრეთ კორეა-თურქმენეთი	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
15:30	388	ირანი-სირია	1.30	4.40	8.50	1.00	1.12	2.89
16:30	389	ერაყი-ჩინეთი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
18:30	390	ომანი-ბაპრეინი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
19:00	391	იორდანია-ჩრდ. კორეა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
19:00	392	საამიროები-კუვეიტი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
21:15	393	საუდის არაბეთი-სინგაპური	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
19:00	394	ლიბანი-უზბეკეთი	3.60	3.20	1.95	1.69	1.26	1.21
		ამხანაგური მატჩები						
		6 თებერვალი						
20:00	70	კვიპროსი-უკრაინა	3.40	3.20	2.00	1.64	1.25	1.23
20:00	71	მაკედონია-სერბეთი	3.60	3.20	1.95	1.69	1.26	1.21
21:30	72	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
22:30	73	თურქეთი-შვედეთი	1.95	3.10	3.60	1.19	1.26	1.66
23:00	74	სლოვენია-დანია	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24
23:45	76	ბოლივია-პერუ	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
23:30	77	ხორვატია-ჰოლანდია	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
23:30	78	ავსტრია-გერმანია	6.70	3.60	1.45	2.34	1.19	1.03
23:45	79	იტალია-პორტუგალია ნ	2.35	3.00	2.90	1.31	1.29	1.47
23:45	80	ირლანდია-ბრაზილია	4.70	3.40	1.65	1.97	1.22	1.11
23:45	81	უელსი-ნორვეგია	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
23:45	82	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	2.90	3.10	2.30	1.49	1.28	1.32
23:45	83	ინგლისი-შვეიცარია	1.40	3.70	7.50	1.01	1.17	2.47
23:45	84	ესპანეთი-საფრანგეთი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
23:00	85	ურუგვაი-კოლუმბია	1.85	3.25	3.70	1.17	1.23	1.73
23:00	86	აშშ-მექსიკა	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
23:00	87	არგენტინა-გვატემალა	1.20	5.00	11.00	1.00	1.08	3.43
22:45	88	ისრაელი-რუმინეთი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
		ევრ. შესარჩევი მატჩები(21)						
		6 თებერვალი						
17:00	92	კვიპროსი 21-ისლანდია 21	2.05	3.20	3.12	1.24	1.23	1.57
20:00	93	ისრაელი 21-ჩრდ. ირლანდია 21	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
		ფინეთი. თასი						
		6 თებერვალი						
18:00	465	ტურკუ-მიუპა	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
		7 თებერვალი						
21:00	466	მარიეჰამნი-იარო	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		ლიბერტადორესის თასი						
		6 თებერვალი						
23:45	462	ბოლივარი-ატლასი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
23:45	463	სერო-კრუზეირო	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		7 თებერვალი						
23:45	464	მონტევიდეო-სიენსიანო	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲖᲣᲡᲢᲔᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10070	კვიპროსი-უკრაინა	3.80	2.00	2.35	1.31	1.45	1.08
10071	მაკედონია-სერბეთი	4.00	2.00	2.30	1.33	1.46	1.06
10072	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10073	თურქეთი-შვედეთი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10074	სლოვენია-დანია	3.50	2.00	2.50	1.27	1.45	1.11
10076	ბოლივია-პერუ	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10077	ხორვატია-ჰოლანდია	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10078	ავსტრია-გერმანია	5.50	2.10	1.80	1.51	1.35	1.00
10079	იტალია-პორტუგალია ნ	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10080	ირლანდია-ბრაზილია	5.10	2.10	2:05	1.48	1.46	1.03
10081	უელსი-ნორვეგია	3.10	2.00	2.85	1.21	1.48	1.17
10082	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10083	ინგლისი-შვეიცარია	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10084	ესპანეთი-საფრანგეთი	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10085	ურუგვაი-კოლუმბია	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10088	ისრაელი-რუმინეთი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10099	სპარტა-ბრედა	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10385	ავსტრალია-ყატარი	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10386	იაპონია-ტაილანდი	1.30	2.80	8.00	1.00	1.11	2.07
10387	სამხრეთ კორეა-თურქმენეთი	1.30	2.80	8.00	1.00	1.11	2.07
10388	ირანი-სირია	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10389	ერაყი-ჩინეთი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10390	ომანი-ბაჰრეინი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10391	იორდანია-ჩრდ. კორეა	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10392	საამიროები-კუვეიტი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10393	საუდის არაბეთი-სინგაპური	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10394	ლიბანი-უზბეკეთი	4.00	2.00	2.30	1.33	1.46	1.06
10398	განა-კამერუნი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10465	ტურკუ-მიუპა	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10466	მარიეჰამნი-იარო	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11070	კვიპროსი-უკრაინა	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11071	მაკედონია-სერბეთი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11072	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11073	თურქეთი-შვედეთი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11074	სლოვენია-დანია	4.60	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	10.00	3.30
11076	ბოლივია-პერუ	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11077	ხორვატია-ჰოლანდია	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11078	ავსტრია-გერმანია	8.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.20
11079	იტალია-პორტუგალია ნ	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11080	ირლანდია-ბრაზილია	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11081	უელსი-ნორვეგია	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11082	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11083	ინგლისი-შვეიცარია	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11084	ესპანეთი-საფრანგეთი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11085	ურუგვაი-კოლუმბია	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11088	ისრაელი-რუმინეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11099	სპარტა-ბრედა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11385	ავსტრალია-ყატარი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11386	იაპონია-ტაილანდი	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11387	სამხრეთ კორეა-თურქმენეთი	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11388	ირანი-სირია	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11389	ერაყი-ჩინეთი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11390	ომანი-ბაჰრეინი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11391	იორდანია-ჩრდ. კორეა	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11392	საამიროები-კუვეიტი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11393	საუდის არაბეთი-სინგაპური	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11394	ლიბანი-უზბეკეთი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11398	განა-კამერუნი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11465	ტურკუ-მიუპა	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11466	მარიეჰამნი-იარო	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12070	კვიპროსი-უკრაინა	1.70	1.90
12071	მაკედონია-სერბეთი	1.70	1.90
12072	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	1.70	1.90
12073	თურქეთი-შვედეთი	1.70	1.90
12074	სლოვენია-დანია	1.70	1.90
12076	ბოლივია-პერუ	1.70	1.90
12077	ხორვატია-ჰოლანდია	1.70	1.90
12078	ავსტრია-გერმანია	1.90	1.70
12079	იტალია-პორტუგალია ნ	1.60	2.00
12080	ირლანდია-ბრაზილია	1.85	1.70
12081	უელსი-ნორვეგია	1.70	1.90
12082	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	1.70	1.90
12083	ინგლისი-შვეიცარია	1.70	1.90
12084	ესპანეთი-საფრანგეთი	1.60	2.00
12085	ურუგვაი-კოლუმბია	1.70	1.90
12088	ისრაელი-რუმინეთი	1.70	1.90
12099	სპარტა-ბრედა	2.00	1.60
12385	ავსტრალია-ყატარი	2.00	1.60
12386	იაპონია-ტაილანდი	2.45	1.40
12387	სამხრეთ კორეა-თურქმენეთი	2.45	1.40
12388	ირანი-სირია	2.00	1.60
12389	ერაყი-ჩინეთი	1.70	1.90
12390	ომანი-ბაჰრეინი	1.70	1.90
12391	იორდანია-ჩრდ. კორეა	1.70	1.90
12392	საამიროები-კუვეიტი	1.60	2.00
12393	საუდის არაბეთი-სინგაპური	2.20	1.40
12394	ლიბანი-უზბეკეთი	1.70	1.90
12398	განა-კამერუნი	1.70	1.90
12399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	1.70	1.90
12465	ტურკუ-მიუპა	1.70	1.90
12466	მარიეჰამნი-იარო	1.90	1.70

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
(ძირითადი დრო)

		კი	არა
13070	კვიპროსი-უკრაინა	1.70	1.90
13071	მაკედონია-სერბეთი	1.70	1.90
13072	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	1.70	1.90
13073	თურქეთი-შვედეთი	1.70	1.90
13074	სლოვენია-დანია	1.70	1.90
13076	ბოლივია-პერუ	1.70	1.90
13077	ხორვატია-ჰოლანდია	1.70	1.90
13078	ავსტრია-გერმანია	1.70	1.90
13079	იტალია-პორტუგალია ნ	1.70	1.90
13080	ირლანდია-ბრაზილია	1.70	1.90
13081	უელსი-ნორვეგია	1.70	1.90
13082	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	1.70	1.90
13083	ინგლისი-შვეიცარია	1.70	1.90
13084	ესპანეთი-საფრანგეთი	1.70	1.90
13085	ურუგვაი-კოლუმბია	1.70	1.90
13088	ისრაელი-რუმინეთი	1.70	1.90
13099	სპარტა-ბრედა	1.50	2.20
13398	განა-კამერუნი	1.70	1.90
13399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	1.70	1.90
13465	ტურკუ-მიუპა	1.70	1.90
13466	მარიეჰამნი-იარო	1.60	2.00

რეიტინგი ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15070	კვიპროსი-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15071	მაკედონია-სერბეთი	3.00	2.80	2.00
15072	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	3.00	2.80	2.00
15073	თურქეთი-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15074	სლოვენია-დანია	3.00	2.80	2.00
15076	ბოლივია-პერუ	3.00	2.80	2.00
15077	ხორვატია-ჰოლანდია	3.00	2.80	2.00
15078	ავსტრია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15079	იტალია-პორტუგალია ნ	3.00	2.80	2.00
15080	ირლანდია-ბრაზილია	3.00	2.80	2.00
15081	უელსი-ნორვეგია	3.00	2.80	2.00
15082	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	3.00	2.80	2.00
15083	ინგლისი-შვეიცარია	3.00	2.80	2.00
15084	ესპანეთი-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15085	ურუგვაი-კოლუმბია	3.00	2.80	2.00
15088	ისრაელი-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15099	სპარტა-ბრედა	3.00	2.80	2.00
15389	ერაყი-ჩინეთი	3.00	2.80	2.00
15390	ომანი-ბაჰრეინი	3.00	2.80	2.00
15391	იორდანია-ჩრდ. კორეა	3.00	2.80	2.00
15392	საამიროები-კუვეიტი	3.00	2.80	2.00
15394	ლიბანი-უზბეკეთი	3.00	2.80	2.00
15398	განა-კამერუნი	3.00	2.80	2.00
15399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	3.00	2.80	2.00
15465	ტურკუ-მიუპა	3.00	2.80	2.00
15466	მარიეჰამნი-იარო	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16070	კვიპროსი-უკრაინა	2.30	1.45
16071	მაკედონია-სერბეთი	2.45	1.40
16072	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	1.58	2.10
16073	თურქეთი-შვედეთი	1.40	2.55
16074	სლოვენია-დანია	2.20	1.52
16076	ბოლივია-პერუ	1.38	2.65
16077	ხორვატია-ჰოლანდია	1.58	2.10
16078	ავსტრია-გერმანია	4.20	1.15
16079	იტალია-პორტუგალია ნ	1.65	2.05
16080	ირლანდია-ბრაზილია	3.30	1.25
16081	უელსი-ნორვეგია	1.80	1.80
16082	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	2.05	1.65
16083	ინგლისი-შვეიცარია	1.11	5.70
16084	ესპანეთი-საფრანგეთი	1.52	2.20
16085	ურუგვაი-კოლუმბია	1.32	3.00
16088	ისრაელი-რუმინეთი	2.05	1.65
16099	სპარტა-ბრედა	2.05	1.65
16389	ერაყი-ჩინეთი	1.24	3.60
16390	ომანი-ბაჰრეინი	1.34	2.80
16391	იორდანია-ჩრდ. კორეა	1.23	3.60
16392	საამიროები-კუვეიტი	1.23	3.60
16394	ლიბანი-უზბეკეთი	2,45	1.40
16398	განა-კამერუნი	1.34	2.80
16399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	1.24	3.60
16465	ტურკუ-მიუპა	1.34	2.80
16466	მარიეჰამნი-იარო	1.50	2.30

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანბარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი წაგებულად ჩაითვლება)

14070	კვიპროსი-უკრაინა	2.20	1.70
14071	მაკედონია-სერბეთი	2.20	1.70
14072	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	1.80	2.00
14073	თურქეთი-შვედეთი	1.70	2.20
14074	სლოვენია-დანია	2.10	1.75
14076	ბოლივია-პერუ	1.70	2.20
14077	ხორვატია-ჰოლანდია	1.80	2.00
14078	ავსტრია-გერმანია	2.60	1.20
14079	იტალია-პორტუგალია ნ	1.80	2.00
14080	ირლანდია-ბრაზილია	2.40	1.45
14081	უელსი-ნორვეგია	2.00	1.80
14082	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	2.00	1.80
14083	ინგლისი-შვეიცარია	1.20	2.60
14084	ესპანეთი-საფრანგეთი	1.75	2.10
14085	ურუგვაი-კოლუმბია	1.65	2.30
14088	ისრაელი-რუმინეთი	2.00	1.80
14099	სპარტა-ბრედა	2.00	1.80
14389	ერაყი-ჩინეთი	1.45	2.40
14390	ომანი-ბაჰრეინი	1.70	2.20
14391	იორდანია-ჩრდ. კორეა	1.45	2.40
14392	საამიროები-კუვეიტი	1.45	2.40
14394	ლიბანი-უზბეკეთი	2.20	1.70
14398	განა-კამერუნი	1.70	2.20
14399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	1.45	2.40
14465	ტურკუ-მიუპა	1.70	2.20
14466	მარიეჰამნი-იარო	1.75	2.10

გოლი:წყვილი-10უ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17070	კვიპროსი-უკრაინა	1.85	1.95
17071	მაკედონია-სერბეთი	1.85	1.95
17072	უნგრეთი-სლოვაკეთი ნ	1.85	1.95
17073	თურქეთი-შვედეთი	1.85	1.95
17074	სლოვენია-დანია	1.85	1.95
17076	ბოლივია-პერუ	1.85	1.95
17077	ხორვატია-ჰოლანდია	1.85	1.95
17078	ავსტრია-გერმანია	1.85	1.95
17079	იტალია-პორტუგალია ნ	1.85	1.95
17080	ირლანდია-ბრაზილია	1.85	1.95
17081	უელსი-ნორვეგია	1.85	1.95
17082	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	1.85	1.95
17083	ინგლისი-შვეიცარია	1.85	1.95
17084	ესპანეთი-საფრანგეთი	1.85	1.95
17085	ურუგვაი-კოლუმბია	1.85	1.95
17088	ისრაელი-რუმინეთი	1.85	1.95
17099	სპარტა-ბრედა	1.85	1.95
17385	ავსტრალია-ყატარი	1.85	1.95
17386	იაპონია-ტაილანდი	1.85	1.95
17387	სამხრეთ კორეა-თურქმენეთი	1.85	1.95
17388	ირანი-სირია	1.85	1.95
17389	ერაყი-ჩინეთი	1.85	1.95
17390	ომანი-ბაჰრეინი	1.85	1.95
17391	იორდანია-ჩრდ. კორეა	1.85	1.95
17392	საამიროები-კუვეიტი	1.85	1.95
17393	საუდის არაბეთი-სინგაპური	1.85	1.95
17394	ლიბანი-უზბეკეთი	1.85	1.95
17398	განა-კამერუნი	1.85	1.95
17399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	1.85	1.95
17465	ტურკუ-მიუპა	1.85	1.95
17466	მარიეჰამნი-იარო	1.85	1.95

მალტის თასი. ლა ვალეტა. მალტა. 4-10 თებერვალი

მალტაზე, რონის გარეშე

4 თებერვალს დაიწყო ელიტარულ სნუკერისტთა მორიგი ტურნირი, „მალტის თასი“, რომელიც წლეულს სარეიტინგო აღარ არის, მაგრამ გვარიანი საპრიზო ფონდი აქვს და მეტად საინტერესო სისტემით ტარდება.

ოცი მონაწილე ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი. ჯგუფებში ყველა ყველას შეხვდება. თითოეული მატჩი ექვსი ფრეიმისგან შედგება და შესაძლებელია საყაიმო შედეგი. ჯგუფებიდან მხოლოდ გამარჯვებულები გადიან და ნახევარფინალურ წყვილებს შეადგენენ.

A ჯგუფი: ჯონ ჰიგინსი, ჯო პერი, ალისტერ კარტერი, რაიან დეი, ალექს ბორგი.

B ჯგუფი: ნილ რობერტსონი, კენ დოჰერტი, ჯო სვეილი, სტივენ ლი, მარკო ფუ.

C ჯგუფი: მარკ სელბი, სტივ მაგუაერი, შონ მერფი, სტივ ჰენდრი, ტონი დრეგო.

D ჯგუფი: გრემ დოტი, პიტერ ებდონი, მარკ უილიამსი, დინ ჯუნხუ, დომინიკ დეილი.

უძლიერესი სნუკერისტებიდან მალტაში მხოლოდ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სტივ დევისი და ორგზის ტრიუმფატორი რონი ოსალივანი არ ჩასულან. თუ ვეტერანი დევისის არყოფნა განსაკუთრებულ დანაკლისად შეგვიძლია არც ჩავთვალოთ, ოსალივანის სახით ტურნირს ნამდვილად დააკლდა ეშხი — სნუკერის ჯადოქარი ხომ ყველა შეჯიბრზე ფავორიტად ითვლება და ეგეც არ იყოს, მისი არაპროგნოზირებადი და ელვისებური თამაში ყოველთვის დამატებითი ინტერესის წყაროა.

ოსალივანი არ არის და ვინ შეიძლება ფავორიტად მივიჩნიოთ, ძნელი სათქმელია. თანამედროვე სნუკერში უკვე ისეა, რომ ელიტარული ხალხიდან ნებისმიერს ნებისმიერის დამარცხება ძალუძს და ის დრო, როდესაც ერთი მოთამაშე, ვთქვათ სტივ ჰენდრი ყველაფერს იგებდა, წარსულს ჩაბარდა.

ტურნირის პირველ დღეს რვა მატჩი გაიმართა, ორ-ორი თითოეულ ჯგუფში და ჩატარებულ 48 ფრეიმში ერთბაშად 11 ასქულიანი ბრეიკი იქნა გაკეთებული.

A ჯგუფში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, შოტლანდიელმა ჯონ ჰიგინსმა 6:0 გაანადგურა მასპინძლების ფავორიტი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი მოყვარულებს შორის ალექს ბორგი, ხოლო ჯო პერისა და რაიან დეის შეხვედრა ფრედ, 3:3 დასრულდა.

B ჯგუფში ავსტრალიელმა ნილ რობერტსონმა ორი ასქულიანი ბრეიკი გააკეთა და იოლად, 5:1 მოუგო ინგლისელ სტივ ლის. მსოფლიოს ირლანდიელი ექსჩემპიონი კენ დოჰერტი კი თავიდან 0:2-ს აგებდა წლეულს მშვენივრად მოთამაშე ჰონკონგელ მარკო ფუსთან, მაგრამ შემდეგი ოთხი ფრეიმი და შესაბამისად მატჩიც, ირლანდიელის გამარჯვებით დასრულდა.

C ჯგუფში მარკ სელბი, რომელმაც იანვარში „მასტერსის“ ტურნირი მოიგო და კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა, თავიდან ასევე 2:0-ს უგებდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ სტივ ჰენდრის, მაგრამ ვეტერანმა სქოთმა ძველებური გაიხსენა, ჯერ კარიერაში 71-ე ასქულიანი ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კიდევ სამი ფრეიმი მოიგო და 4:2 იმარჯვა. ამავე ჯგუფში მსოფლიოს კიდევ ერთმა ექსჩემპიონმა შონ მერფიმ 6:0 გადაურა ტონი დრეგოს და ისე გამოვიდა, რომ ტურნირის პირველ დღეს მასპინძლებმა ერთი პარტიის აღებაც კი ვერ შეძლეს.

დაბოლოს D ჯგუფი, სადაც სამი ექსჩემპიონი (დოტი, ებდონი, უილიამსი) და უნიჭიერესი ჩინელი დინ ჯუნხუ არიან. აზიელმა ებდონთან მატჩი სამი ასქულიანი ბრეიკით დაიწყო და საბოლო ჯამში 4:2 იმარჯვა, ხოლო დოტი 2:4 დამარცხდა 2007-08 წლების სეზონის პირველი ტურნირის, „შანხაის მასტერსის“ გამარჯვებულ უელსელ დომინიკ დეილთან.

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



ერთი მიჭარეს და ორს კარგავენ

ესპანეთს დიდი პრიზების ჩამორთმევით ემუქრებიან

გასულ უქმეებზე ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე გამართული წინასასეზონო ტესტებისას ადგილობრივმა ქომაგებმა „მაკლარენის“ შავკანიან მრბოლ ლუის ჰემილტონს რომ შეურაცხყოფა მიაყენეს, არც ისე ძველი ამბავია, ხოლო ახალი ის გახლავთ, რომ ამ თავქარიანების გამო, შეიძლება, ესპანეთმა არათუ კატალონიური, არამედ ორივე დიდი პრიზი დაკარგოს.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ჩემპიონატის კალენდარში ორი ესპანური ეტაპია — ბარსელონური და ვალენსიაში გასამართი „ევროპის დიდი პრიზი“. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს თანამემამულენი ჰემილტონზე იმიტომ არიან გაბრაზებულები, აქაოდა, შარშან სწორედ მაგ „ნიგერის“ გამო ჩაგრავდნენ „მაკლარენის“ ბოსები ჩვენს ჯილას და ასე რომ არ ყოფილიყო, ალონსო ახლა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იქნებოდაო.

ალონსო „მაკლარენში“ აღარ არის, „რენოში“ დაბრუნდა, მაგრამ მისი ქომაგების გულებში ჯავრი დარჩა და ამ ჯავრმა წინა უქმეებზე ამოხეთქა, როდესაც მათ ჰემილტონის შეურაცხმყოფელი, რასისტული შინაარსის პლაკატები გამოფინეს და „მაკლარენის“ ბოლიდებს ათასგვარი ნაგავი დაუშინეს.

დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა ჯერი სატკლიფმა ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა და კატალონიური ეტაპის ფორმულა 1-ის კალენდრიდან ამოღება მოითხოვა. „რასიზმს არ შეიძლება თანაუგრძნო. ეს პირველად არ ხდება, რომ ბრიტანელ სპორტსმენებს ესპანეთში კანის ფერის გამო შეურაცხყოფას აყენებენ. ამ ქვეყანაში დიდი პრიზის ჩატარება მიზანშეწონილი ნამდვილად არ არის და ამის თაობაზე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას ოფიციალურ მიმართვას გავუგზავნით“ — ბრძანა სატკლიფმა.

მომხდარი რეაგირების გარეშე, არც ფია-ს (ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია) ჩინოვნიკებს დაუტოვებიათ და, როგორც ფედერაციის ოფიციალური საიტი იუწყება, თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდება, ესპანეთი ორივე გრან პრის დაკარგავს.

თავისი განცხადება „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომის აღმინისტრაციამაც გააკეთა და ბუნებრივია, დაგმო ქომაგთა აღვირახსნილობა. „ავტოდრომის ხელმძღვანელობა გმობს სპორტში დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას, რასობრივ ნიადაგზე იქნება ეს, პოლიტიკურსა თუ რელიგიურზე. კატალონიის პოლიციასთან ერთად, მიღებული იქნება ზომები, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ხოლო, თუ ავტოდრომს მომხდარის გამო რამე სანქციით დასჯიან, მაშინ ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას, კანონის შესაბამისად დაისჯონ ის პირები, რომელთა აღვირახსნილმა ქმედებებმაც გამოიწვია ეს ყოველივე“ — ნათქვამია კატალონიელთა განცხადებაში.

და აქვე თავად ლუის ჰემილტონის კომენტარიც: „ძალიან ნაწყენი ვარ. მე მიყვარს ეს ქვეყანა და განსაკუთრებით ეს ტრასა. ესპანელი ხალხი ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ და ის, რაც მოხდა, უაღრესად უსიამოვნო მოულოდნელობაა. მინდა, რომ ესპანელმა ქომაგებმა კარგად გამიგონ — ჩემი მიზანი ჩემპიონატის მოგებაა. ივივე მიზანი აქვს ალონსოს და სამწუხაროა, რომ შარშანდელ სკანდალს ასეთი გაგრძელება მოჰყვა“.

ქაჯა ლომაძე

დაციუკის კვირა

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ დეტროიტელი „წითელი ფრთების“ რუსი ცენტრი პაველ დაციუკი დასახელდა, ხოლო მეორე და მესამე ვარსკვლავების წოდება დალასელი „ვარსკვლავების“ კარის დარაჯ მარტი ტურკოს და „ნიუ იორკ რეინჯერსის“ ცენტრფორვარდ კრის დრურის ერგოთ.

დაციუკის „დეტროიტი“ დიდი უპირატესობით ლიდერობს როგორც თავის დივიზიონში, ისე კონფერენციაში და სრულიად ლიგაშიც. „ფრთებისთვის“ გასული შვიდდღეულიც წარმატებული იყო და ამ წარმატებაში რუსმა ლომის წილი დაიდო — თავისიანთა მიერ გატანილი რვა გოლიდან შვიდში მიიღო მონაწილეობა — ერთხელ თავად შეაგდო, ექვსჯერაც პარტნიორებს გაუწია ასისტენტობა.

„დალასმა“ აღნიშნულ პერიოდში სამიდან სამივე მატჩი მოიგო და თავის წყნაროკეანურ დივიზიონში დაწინაურდა. სამივე შემთხვევაში კარში ტურკო იდგა და საშუალოდ, მხოლოდ 1,67 შაიბას უშვებდა.

რაც შეეხება დრურის, მან გასულ კვირაში 6 (4+2) ქულა მიითვალა და თანაც, მისი ოთხი გოლიდან ორი გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა, „ნიუ ჯერსისთან“ და „მონრეალთან“ შეხვედრებში.

რეგულარული ჩემპიონატი

4 თებერვალი

ნიუ ჯერსი 4:3 პიტსბურგი

0:0 1:2 2:1 1:0 (ოვერტაიმში)

0:1 მელოუნი (23), 0:2 სიკორა (32), 1:2 ლანგენბრუნერი (40), 1:3 სტაალი (45), 2:3 ელიაში (50), 3:3 კლარკსონი (52), 4:3 პარიზე (61)

კოლორადო 3:4 ფინიქსი

1:1 1:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)

1:0 ჰენსიკი (18), 1:1 მიულერი (20), 1:2 ვინიკი (26), 2:2 ლაპერერი (35), 3:2 ჰენსიკი (50), 3:3 ვრბატა (57), 3:4 დოუნი (64)

ედმონტონი 5:0 კალგარი

2:0 1:0 2:0

1:0 პიზანი (7), 2:0 პენერი (20), 3:0 ჰემსკი (26), 4:0 სტეიოში (52), 5:0 განიე (53)

ჯაბა გელაშვილი ისევ პირველია

14 წლის ქართველმა მოთხილამურემ, ჯაბა გელაშვილმა, ავსტრიაში ტიროლის რეგიონულ ტურნირზე სალალომსა და გიგანტურ სლალომში ორი პირველი ადგილი მოიპოვა. ტურნირი 26-27 იანვარს ინსბრუკში გაიმართა. 2 თებერვალს კი ზამთრის სპორტის სახეობების საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირზე, რომელშიც მასზე უფროსი, 16 წლამდე მოთხილამურეები მონაწილეობდნენ, ამავე სახეობებში მეხუთე-მეექვსე ადგილები დაიკავა.

ავსტრიულმა სპორტულმა პრესამ ქართველ მოთხილამურეს „მატადორი" უწოდა: „დიდი სენსაციაა ქართველი სპორტსმენის ასეთი სტაბილური წარმატებები ტიროლში, რომელიც სათხილამურო მეფაა" — წერს ავსტრიული გაზეთი „Sporttotal".

ქართველი მოთხილამურე, უკვე რამდენიმე წელია, სტაბილური წარმატებით გამოდის ევროპულ შეჯიბრებებში. დეკემბერში სპეციალურ სლალომში, ორივე ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა და პირველი ადგილი დაისაკუთრა 1993-1994 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის.

„ჯაბა გელაშვილი ყველაზე პერსპექტიული ქართველი სპორტსმენია ამ სახეობაში, ის 8 წლის ასაკიდან ინტენსიურად ვარჯიშობს ავსტრიაში. მისი პირადი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი გერა აბრამიშვილია, მას ასევე ჰყავს ავსტრიელი კონსულტანტი ჰანს ენოვეი. დარწმუნებული ვარ, რომ ჯაბა ნამდვილი ვარსკვლავია სათხილამურო სპორტში. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ მასზე და მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ეს სახეობა ძალზე საფრთხილოა ტრავმიანობის გამო, მჯერა, რომ ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე ის უკვე მონაწილეობას მიიღებს, ოლიმპიურ ჯილდოს კი მისგან უკვე 2014 წლის ოლიმპიადაზე უნდა ველოდოთ", — განაცხადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ.

ერთი მოხსნა ორმაგ დუბლამდე

მანუჩარ მარკოიშვილი მეტოქის დაცვას მიაღწევს

იანვარ-თებერვალი ოლ სტარების დროა. ძირითადად, სწორედ ამ პერიოდში იმართება ხოლმე ყველა ვარსკვლავთა მატჩები და ამჯერად ამ საქმით გიორგი ცინცაძე იყო დაკავებული.

ბალტიის ლიგაში ოლ სტარი გაიმართა, რომელშიც ლეგიონერი ვარსკვლავების ხუთეულში ითამაშა ესტონური „როკის" გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ. მას ჩვეულად ბარაქიანად არ უთამაშია, მოედანი 8 ქულით, 3 მოხსნითა და 1 პასით დატოვა, თუმც ეს არ იყო იმ ყაიდის მატჩი, რომელშიც სტატისტიკის უფერულობაზე ღირდეს ნერვიულობა. ცინცაძეს არაფერი გაუფუჭებია — მოედანზე 21 წუთი დაჰყო, 2-დან 2 სამიანი ჩააგდო, სამიდან ერთი ორქულიანი და მისმა გუნდმაც 154:136 იმარჯვა.

შედარებით სერიოზულ მატჩებში მოუწიათ გარჯა ჩვენი ნაკრების სხვა წევრებს — ნიკოლოზ ცქიტიშვილს, მანუჩარ მარკოიშვილს, ტაირონ ელისს და ზაზა ფაჩულიას და ჩვენც მათ ამბებს მოგითხრობთ.

როგორც იქნა, გაიმარჯვა ცქიტიშვილის „ტერამომ", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ვარეზე". ქართველ ფორვარდ-ცენტრს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამ წარმატებაში — ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

ცქიტიშვილმა 33 წუთი დაჰყო მოედანზე და 13 საშუალო სროლიდან 7 მოათავსა „ვარეზეს" კალათში. ამას მან ერთი საჯარიმოც მიაყოლა და მოედანი 15 ქულითა და 9 მოხსნით დატოვა.

გასული კვირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე აღმოჩნდა ტაირონ ელისი, რომელმაც „ფუენლაბრადას" 23 ქულა ჩაუგდო, მაგრამ „კახასელის" გამარჯვებას ეს მაინც არ ეყო.

ელისმა ქულები, ძირითადად, შორიდან აგროვა — 16-დან 6 სამიანი ჩაგდო, პასებში კი მოიკოჭლა, მხოლოდ ერთი დაიწერა თავის ანგარიშზე „ფუენლაბრადამ" 76:69 იმარჯვა და ელისის გუნდს ცხრილში დაწინაურების საშუალება არ მისცა.

მანუჩარ მარკოიშვილმა თავისი საშუალო ულუფა, 13 ქულა შეასრულა და „ბკ კიევმაც" იმარჯვა. გასაკვირი ის იქნებოდა, კიეველებს ვიღაც „ჯულსართან" რომ წაეგოთ. უკრაინის ჩემპიონატში ისინი დაუმარცხებლები არიან და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩემპიონატს ასევე დაასრულებენ.

მარკოიშვილმა გასეირნებასავით მატჩში მხოლოდ 17 წუთი ითამაშა. კიეველთა თავკაცმა ტომო მაჰორიჩმა სათადარიგოებსაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება. ქართველმა ლეგიონერმა 5-დან 3 სამქულიანი ჩააგდო, რასაც 2 ორიანიც მიაყოლა და 13 ქულას მოუკრა პირი.

ატლანტის ოკეანის გაღმიღან კი კვლავ ვერ მოდის გასახარი ამბები. ზაზა ფაჩულიამ გასულ კვირაში ორი უქულო მატჩი ჩაითამაშა. პირველად ის 10 წუთით დაასაქმეს, როცა „ატლანტა" „კლიპერსთან" დამარცხდა და ქართველმა გამთამაშებელმა მხოლოდ 4 მოხსნა და „ინკილა ჩაჭრა გაახერხა. „ნიუ ჯერსისთან" მოგებულ მატჩში კი ფაჩულიამ ოდენ 7 წუთი იბურთავა და 4 მოხსნა იკმარა.

ირაკლი პერტაია



უორინერმა რეკორდი ჩაიფიქრა

ამერიკელ მორბენალ ჯერემი უორინერს ამბიცია მოსძალებია. ის უკვე გახლავთ 400 მეტრზე სირბილში მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი, ნაჩვენები აქვს 43,45 დრო, რაც ყველა დროის მესამე საუკეთესო შედეგია. მოკლედ, ის თანამედროვეობის საუკეთესო მორბენალია ამ დისტანციაზე და ახლა უნდა, ყველა დროის საუკეთესოდაც იწოდებოდეს.

უორინერი ამბობს, ისეთ ფორმაში ვარ, წლეულს ოლიმპიადაზე ან სადმე სხვაგან, აუცილებლად ჩამოვართმევ მაიკლ ჯონსონს თავის რეკორდსო — „მე ნებისმიერ შემთხვევაში გავაკეთებ ამას წლეულს, შეიძლება პეკინში, შეიძლება რომელიმე ტურნირზე, მაგრამ რომ გავაკეთებ, ამის პირობა უკვე მივეცი საკუთარ თავს. მე კარგად ვარ მომზადებული როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, ვიცი, სად უნდა მოვუმატო და ბევრს ვმუშაობ ნაკლოვანებებზე".

ჯონსონის რეკორდი კი გახლავთ 400 მეტრი 43,18 წამში. ვნახოთ, რეკორდი და ხვალეო...

კოტე ყორფია

მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრა

იღბლიანი არისი

გორდონ ჰერბერტი წილისყრით კმაყოფილი დარჩა

„ვფიქრობთ, კენჭისყრამ გაგვიმართლა და შედარებით ხელსაყრელ ჯგუფში მოვხვდით. ჩვენ უფრო ძლიერ მეტოქეებს ველოდებოდით, მაგრამ ფავორიტთაგან არავინ შეგვხვდა და ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე გასვლის საკმაოდ რეალური შანსი გვაქვს" — თქვა ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრის შემდეგ ბერძნული „არისის" მთავარმა მწვრთნელმა გორდონ ჰერბერტმა.

რატომ გამოვარჩიეთ მაინცდამაინც „არისის" თავკაცი? ის საქართველოს ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა, მის გუნდში კი ვლადიმერ ბოისა, ევროლიგის ერთადერთი ჩვენებური თამაშობს.

„არისს" მართლაც გაუმართლა. სალონიკური გუნდის ჯგუფში არ მოხვედრილა არც ცსკა, არც „პანათინაიკოსი", „რეალი", „ბარსელონა", „მაკაბი", „სიენა"- მოკლედ, არც ერთი აღიარებული გრანდი. აი, ჰერბერტ-ბოისას გუნდის მეჯგუფეებიც: ლიტვური „ლიეტუვოს რიტასი", ესპანური „ტაუ" და თურქული „ფენერბაჰჩე".

„გაცილებით ძლიერი გუნდები მოხვდნენ სხვა ჯგუფებში, ვიდრე ჩვენს ჯგუფში არიან — განაგრძობს ჰერბერტი — „ტაუ" და „ფენერბაჰჩე" ძალიან გამოცდილები არიან, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ისინი ნამდვილად არ არიან დაუმარცხებლები. ძალიან კი გაგვიძნელდება, მაგრამ მაინც მგონია, რომ მეოთხედფინალში გავალთ".

აი, გადახედეთ სხვა ჯგუფებსაც და მიხვდებით, რომ „არისს" მართლაც გაუმართლა.

ირაკლი პერტაია

D ჯგუფი
- პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
- სიენა (იტალია)
- ეფესი (თურქეთი)
- პარტიზანი (სერბეთი)

E ჯგუფი
- ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)
- ტაუ (ესპანეთი)
- ფენერბაჰჩე (თურქეთი)
- არისი (საბერძნეთი)

F ჯგუფი
- რეალი (ესპანეთი)
- მაკაბი (ისრაელი)
- ჟალგირისი (ლიტვა)
- ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

G ჯგუფი
- ცსკა (რუსეთი)
- უნიკახა (ესპანეთი)
- ბარსელონა (ესპანეთი)
- რომა (იტალია)

NBA რეგულარული ჩემპიონატი

სმიტმა ფილადელფია გადაფარა



დერონ უილიამსმა „იუტას“ ძველი სახელი დაუბრუნა

4 თებერვალი

ატლანტა 96:91 ფილადელფია

ატლანტა: ე. ჯონსონი (5), ჯ. ჯონსონი (18), მ. უილიამსი (9), სმიტი (19 ქულა, 9 პასი, 9 დაფარება, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ჰორფორდი (6); ჩილდრესი (21), ლუ (11), ფაჩულია (20 წუთი, 7 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება), ლოუ

ფილადელფია: მილერი (29), გრინი (10), იგუდალა (22), იანგი (11), დალემბერტი (9 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება); უილიამსი (4), კერნი (4), ოლი (2), ევანსი

იუტა 110:88 ნიუ ორლეანი

იუტა: უილიამსი (29 ქულა, 11 პასი), კორვერი (20), ბუზერი (19 ქულა, 17 მოხსნა)

ნიუ ორლეანი: პარგო (24), პატერსონი (16)

ფინიქსი 118:104 შარლოტი

ფინიქსი: ბარბოსა (30), სტუდემაიერი (24 ქულა, 11 მოხსნა), ბელი (24)

შარლოტი: რიჩარდსონი (25), ფელტონი (19), ოკაფორი (18 ქულა, 13 მოხსნა)

ორლანდო 98:107 დალასი

ორლანდო: ჰოვარდი (28), ევანსი (16), თურქოღლუ (13 ქულა, 13 პასი, 12 მოხსნა)

დალასი: ჰოვარდი (28), ნოვიცკი (20), ტერი (20), ჰარისი (16)

ნიუ იორკი 94:103 კლიპერსი

ნიუ იორკი: კარი (19), კროუფორდი (18), რიჩარდსონი (14)

კლიპერსი: მაგეტი (19), კამანი (15)

მაიამი 82:114 ტორონტო

მაიამი: რაიტი (17), ვეიდი (12)

ტორონტო: ბოში (24), ბარნანი (22), პარკერი (18), კალდერონი (11 ქულა, 10 პასი)

მინესოტა 86:92 ჰიუსტონი

მინესოტა: ჯეფერსონი (33 ქულა, 16 მოხსნა), მაკკანტსი (16)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (22), მინი (16)

სიეტლი 108:118 ჩიკაგო

სიეტლი: შჩერბიაკი (21), დურანტი (20)

ჩიკაგო: სმიტი (25 ქულა, 10 მოხსნა), გორდონი (20), ჰაინრიხი (16)

პორტლენდი 103:105 დენვერი

ძირითადი დრო 100:100

პორტლენდი: როი (26 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), ვებსტერი (17), ჯეკი (17 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), აუთლოო (16 ქულა, 10 მოხსნა)

დენვერი: ენტონი (28 ქულა, 15 მოხსნა), აივერსონი (25 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა)

„ფილადელფიას“ სასწაული თამაში მოუგო „ატლანტამ“, უფრო ზუსტად კი, მისმა ფორვარდმა ჯოშ სმიტმა. ფილადელფიელებმა მძლავრად დაიწყეს და პირველ მეოთხედში ფარზე პირდაპირ გააცამტვერეს ატლანტელები: მოხსნებში 23:5 (!) აჯობეს და ეს შედეგზეც აისახა. სტუმრები ყოველგვარი გართულების გარეშე უხსნიდნენ მაღალ ატლანტელებს აკილებულ ბურთებს და შემდეგ სწრაფ გარღვევებზე აფართოებდნენ ანგარიშში ნაპრალს. ამგვარად „ფილადელფიამ“ 32:14 გაანადგურა „ატლანტა“ საწყის 12 წუთში და სტუმრებმა იმაზე ფიქრი რომ დაიწყეს, გასვლაზე იოლი გამარჯვება ჯიბეში გვაქვსო, სწორედ მაშინ ამოქმედდა მასპინძელთა ფეხზამბარა ფორვარდი ჯოშ სმიტი. მან მეორე მეოთხედში 6-ჯერ (!!!) დაუფარა ფიდალედფიელებს და ასე მარტოკამ დაუბრუნა სიცოცხლის ნიშანწყალი მასპინძლებს. მისმა გუნდმაც დიდ შესვენებამდე 12 ქულა გააბათილა 18-ქულიანი ჩამორჩენიდან და დანარჩენი „დავალიანება“ მეორე ტაიმში დაფარა. სმიტს კი 9 დაფარება დაუგროვდა და თითო დაფარება-პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

ფაჩულიამ ამ თამაშში 7 ქულას და ამდენივე მოხსნას მოუყარა თავი.

ზედიზედ 9 მოგების შემდეგ მიჯრით მესამედ წაგო და დასავლეთის ლიდერობა „ფინიქსს“ დაუთმო „ნიუ ორლეანმა“. ჩანს, ეს გუნდი გვარიანად მოღალა დიდი ინტენსივობით ჩატარებულმა თამაშების სერიამ და ახლა ისვენებს. „იუტასთან“ შეხვედრაში ახალორლეანელთა სუპერგამთამაშებელი კრის პოლი 6 ქულას და 6 პასს დასჯერდა მაშინ, როდესაც ყველა ვარსკვლავის მატჩში ვერმოხვედრილმა მისმა იუტელმა ოპონენტმა დერონ უილიამსმა 29 ქულა და 11 პასი გაჩარხა. ეს გამარჯვება „იუტასთვის“ ზედიზედ მეცხრე იყო და ამის წყალობით ეს გუნდი ჩრდილოდასავლეთის დივიზიონში გალიდერდა.

კოტე ყორშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონის მუშტი

ჯონი უილკინსონმა უელსთან შეხვედრაში ჯონათან ტომასს სახეში ისეთი სთხლიშა, რომ კაცი სასწრაფოდ შესაცვლელი შეიქნა. ტომასმა მოედანი თავბრუდახვეულმა, განცვიფრებულმა და ცხვირპირდასისხლიანებულმა დატოვა. საქმე ისაა, რომ „ვილკომ“ აკრძალული ილეთი შეუმჩნევლად გამოიყენა. უელსელები არც კი უჩიოდნენ. სამაგიეროდ, სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა ყველაფერი იყნოსეს და ჯონის საქმე სამსჯავროს სასწორზე შეაგდეს. თვითონ ინგლისელთა ჯილა ყველაფერს უარყოფს და ითხოვს, რომ იტალიასთან ძირითადში ათამაშონ. ულკინსონს განაჩენს სავარაუდოდ დღეს გამოუტანენ.

ზურაბ მიგრიაული

კვირის მოთამაშეები

დასავლეთი

ბრედ მილერი (საკრამენტო)



აღმოსავლეთი

ჰედო თურქოღლუ (ორლანდო)



„ორლანდო მეჯიქის“ თურქი ფრთა ჰიდაიეთი, უბრალოდ კი, ჰედო თურქოღლუ, ფორმის პიკზეა. ის ვერ მოხვდა აღმოსავლელ ვარსკვლავთა 12-კაცა გუნდში, არადა, თავისი 19-ქულიანი, 6-მოხსნიანი და 4-პასიანი მაჩვენებლით, ალბათ, იმსახურებდა. სამაგიეროდ, ის ზედიზედ მეორედ დაასახელეს აღმოსავლეთში კვირის საუკეთესო მოთამაშედ. გასულ კვირას მან „ორლანდოს“ სამივე თამაში მოაგებინა, თავად კი ამ გამარჯვებებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა — საშუალოდ 24,3 ქულა, 8,0 მოხსნა და 6,3 პასი.

დასავლეთში კი კვირის რჩეულად „საკრამენტო კინგზის“ თეთრი ცენტრი ბრედ მილერი აღიარეს, ვინც თავის გუნდს ასევე სამიდან სამი თამაში მოაგებინა. მან საშუალოდ 20 ქულა და 15 მოხსნა აკეთა. მილერმა განსაკუთრებით ოთხშაბათს, „შარლოტთან“ თამაშში დაამახსოვრა ხალხს თავი, როცა 21-ჯერ მოიგო ფარზე ასხლეტილი ბურთი და კრის ვებერის კუთვნილი საკლუბო რეკორდი ერთით გაუუმჯობესა.

კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია): დერონ უილიამსი (იუტა), რიპ ჰამილტონი (დეტროიტი), ჰედო თურქოღლუ (ორლანდო), დირკ ნოვიცკი (დალასი), ბრედ მილერი (საკრამენტო)

უორენ გეტლანდი სისუფთავის მომხრეა

გასულ უქმეებზე წლევანდელი ექვსი ერის პირველი ჯახები გაიმართა. სამიდან ორი მატჩი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა, ხოლო ერთში ისეთი სენსაცია აღინიშნა, რომ სარაგბო სამყარო ალბათ კარგა ხანს ილაპარაკებს. ინგლისი „თვიქნემზე“ უელსთან რომ დაეცა, იმაზე ვამბობთ. ახლა ინგლისი ჭრილობებს იშუშებს, სამწვრთნელო შტაბში კი მსჯელობენ, თუ რა გახდა ესოდენ გულდასაწყვეტი მარცხის მიზეზი. ბრაიან ეშტონმა გადაწყვიტა, რომ ის მობურთალები, რომლებიც მის სადამრიგებლოში არიან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანი, არადამაკმაყოფილებელ ფორმაშია და მათი გამოცვლაა საჭირო. ჰოდა, მხცოვანმა სპეციალისტმა ნაკრებში სამ ახალ მოთამაშეს გამოუძახა. იტალიასთან მომავალ კვირას გასამართი მატჩისთვის ეშტონმა გაფართოებულ შემადგენლობაში უხმო მორკინალ ლი დიქსონს, გარემარბ მაგნუს ლენდს და მცველ შონ გერეტს.

ამასობაში კი ფრანგებზე საქებარ სიტყვებს არ იშურებენ. „მამლების“ მთავარ მწვრთნელ მარკ ლივერმონს საქმენი შეუქეს, ნიჭის და პრაგმატულობის სინთეზიც მოუწონეს. ლივერმონიც მომავალი მატჩისთვის ირლანდიასთან შემადგენლობის შეცვლას არ აპირებს. ასე რომ, ამ ტურნირზე ბუქმეიკერებისგან ფავორიტად არშერაცხული საფრანგეთის ნაკრები ახალ აღმოჩენად გადაიქცა. ფრანგთა ქომაგნი იმედოვნებენ, რომ ლივერმონი, ბერნარდ ლაპორტისგან განსხვავებით, შემადგენლობის სწორად შერჩევას მოახერხებს და ისეთ ბიჭები, როგორებიც არიან ფრანსუა ტინ-დიუ, ფურგენს უდრაოგო, ლოიკ ლაკუე, შემადგენლობის გარეთ აღარ დარჩებიან.

უელსელებს კი იმედი მიეცათ, რომ უორენ გეტლანდის დამოძღვრილი გუნდი მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. საპასუხოდ გეტლანდი „დრაკონების“ ქომაგთ ურჩევს, რომ მოთმინებით აღიჭურვონ, ვინაიდან ერთი წარმატებული თამაში გუნდს სუპერკოლექტივად ვერ გადააქცევს, ამისთვის გაცილებით მეტი დრო და შრომაა საჭირო. ისე კი თქვა, მომავალ შაბათს შოტლანდიასთან ჯახში, ვეცდებით, მსოფლიოს თასზე მოცხებული ტალახი ჩამოვირეცხოთო.

ზურაბ მიგრიაული

გლდანური კოსმეტიკა

ვანო გრიქუროვი: ასანიძე ცაიტნოტმა





— მზადება ახლახან დავიწყეთ. ჩვენს განკარგულებაში ოთხი ძალოსანია — რაულ ცირეკიძე (85 კგ), არსენ კასაბიევი (94), გია მაჭავარიანი (105) და ალბერტ კუზილოვი (105) — გვითხრა **ვანო გრიქუროვმა** — სწორედ მათგან აირჩევა ის სამი, ვინც ჩინეთის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ღირსებას დაიცავს. ამათ გარდა, გვყავს კიდევ ერთი პერსპექტიული სპორტსმენი ზვიად სამუკაშვილი, მაგრამ მას მძიმე ტრავმა აქვს და ვერ ვარჯიშობს. არადა, ისიც ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა. რაც მთავარია, ყველა დანარჩენი ჯანზეა და ჯანმრთელობას არავინ უჩივის. ოლიმპიადამდე ნახევარი წელიწადი დარჩა. ეს დრო მაქსიმალურად კარგად უნდა გამოვიყენოთ. ახლა, შეიძლება ითქვას, ბიჭების კოსმეტიკური დამუშავება მიდის, ანუ იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ამჟამად არსებობს. ასევე ფორმის შენარჩუნება, რომელიც უკვე აქვთ, თუმც ფორმის პიკზე მაინც ოლიმპიური თამაშების დროს უნდა ვიყოთ. ერთი თვე მზადებას აქ გავივლით. გეტყვით, რომ პირობებით კმაყოფილი ვარ. მერე უკვე საზღვარგარეთ გველის შეკრება, პოლონეთში ან ლატვიაში, ეს ზუსტად ახლო მომავალში გაირკვევა.

— გიორგი ასანიძე რატომ არ ვარჯიშობს?

— მან უმძიმესი ტრავმა გადაიტანა. ალაბთ ინდივიდუალურად ემზადება, ზუსტად არ ვიცი. ისე კი, დრო ცოტა რჩება და ვეჭვობ, მოასწროს ფორმაში შესვლა.

— ევროპის ჩემპიონატზე თუ გამოხვალთ?

— ევროპის პირველობა იტალიაში, აპრილში გაიმართება და მანამდე ჯერ დიდი დროა, თუმც სერიოზულად ვფიქრობთ იმაზე, ღირს თუ არა გამოსვლა. საერთოდ, ძალოსანისთვის ორი მაღალი დონის ტურნირი საკმარისია. თან ვფრთხილობთ, რომ ბიჭები ზედმეტად არ დავტვირთოთ, ტრავმის საშიშროებას მაქსიმალურად გამოვრიცხავთ. აი, ივნისში საქართველოს ჩემპიონატზე კი ყველა წამყვანი ძალოსანი გამოვა და იქაც დავაკვირდებით კანდიდატებს.

— მოახლოებულ ოლიმპიადაზე რას გვეტყვით?

— პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. ისე კი, ეს ოლიმპიადა წინაზე გაცილებით რთული იქნება. ნლევანდელი წელი ოლიმპიურია და განსაკუთრებულ ინტერესსაც იწვევს. გამორჩეული ყურადღება კი სპორტის იმ სახეობებისკენაა მიპყრობილი, რომლებსაც საპეკინო ლიცენზიები უკვე აქვთ და გაათკეთებული მონდომებით ემზადებიან ჩინეთის თამაშებისთვის. ამათგან სამი ლიცენზია ძალოსნებს ეკუთვნით, რომლებმაც ნაკრების თავკაც ვანო გრიქუროვის მეთვალყურეობით, ამას წინათ გლდანში, ოლიმპიური რეზერვების ცენტრში დაიწყეს მზადება. რაც ათენში გიორგი ასანიძემ ოლიმპიური ჩემპიონობა იზეიმა, ძალოსნების გამოსვლას ქართველი ქომაგი უფრო მეტი ინტერესით ელის. მით უფრო, რომ ნაკრებში პერსპექტიული ბიჭები მრავლად არიან.

ნაკრებს გლდანში, ოლიმპიური რეზერვების ცენტრში ვეწვიეთ, ვარჯიშიც ვნახეთ და ვანო გრიქუროვის შეფასებებიც და გეგმებიც მოვისმინეთ. პირველი, რაც თვალში საცემია, ძალოსნები მშვენიერ პირობებში ვარჯიშობენ. არც გათბობის პრობლემაა და არც კეთილმოწყობის. ბიჭებიც ჯანზე არიან და საკმაოდ დიდ სიმძიმეებს ჩატარდება და გვინდა, რომ მთელი ეს დრო მოსამზადებლად ვამოვიყენოთ. ამიტომაც ჩვენი ძალოსნები საერთაშორისო ტურნირებზეც გამოვლენ. ძირითადი ბირთვი 1990-93 წლებში დაბადებულები არიან და ყველაფერი წინ აქვთ. ივნისში კოლუმბია ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. იქაც ერთ სპორტსმენს წავიყვანთ. აგვისტოში საფრანგეთის ტურნირზე ორ კაცს ვიახლებთ, მოკლედ, საკმაოდ დატვირთული და საინტერესო წელიწადი გველის.

ბოლოს ნაკრების ერთ-ერთ წევრს, გია მაჭავარიანსაც (105 კგ) გავესაუბრეთ.

— მთელი ოთხი თვე ხელების მძიმე ტრავმის გამო გამიცდა. ვარჯიში ორი თვის წინ დავიწყე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ. წლევანდელს ოლიმპიადაა და ამიტომ განსაკუთრებულად მოტივირებული ვარ. ყველაფერს ვაკეთებ, რომ საოანადოდ მოვემზადო. აქ საამისოდ ყველა პირობაა შექმნილი. ევროპის ჩემპიონატზე კი არ გამოვალ. ჯერ ერთი, რომ ფორმაში არ ვარ და თან მინდა, მთელი ენერგია ოლიმპიადისთვის შევინახო.

ლევანი მაისურაძე
გურამ დოლენჯაშვილის
ფოტოები

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორეოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხიმერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ფურცელი
http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00